

სტრასბურგში ახალი მასალები გაიგზავნა

A5



დუალისტური მმართველობა

A6



პრესომბუდსმენი

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 24 ოქტომბერი, 2005 წელი. №295 (1095) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ცვლილებები - ფარმაცევტული ფირმებისა თუ ბიუჯეტის სასარგებლოდ?

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა ერთხმად მიიღო ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონის ცვლილებების პროექტი, რომელიც წამლის რეგისტრაციის გადასახადის სამჯერ გაზრდას ითვალისწინებს. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გეგელაშვილი აცხადებს, აღნიშნული ცვლილება ხელსაყრელია როგორც ბიუჯეტისთვის, ასევე ფარმაცევტული ფირმებისთვისაც. თუმცა, თვით ფარმაცევტულ ფირმებს რეგისტრაციის გადასახადის გაზრდა სულაც არ ახარებთ.

A2

## სამართალი

### რუსი ვიცე-პოლკოვნიკის გათავისუფლებას განმარტებები არ მოჰყოლია

ქართველმა სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი რომან ბოიკო, რომელიც ორი დღის წინ გორში, ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბოიკოს გათავისუფლებაზე რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები სატელეფონო საუბრისას შეთანხმდნენ.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 24/10 | 25/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 ☼ | 21 ☼ |
| ტყიბული | 22 ☼ | 18 ☁ |
| სოხუმი | 22 ☼ | 17 ☁ |
| დმანისი | 17 ☼ | 12 ☼ |
| გორი | 17 ☼ | 13 ☼ |
| ონი | 17 ☼ | 10 ☁ |
| ზუგდიდი | 24 ☼ | 20 ☂ |
| ახმეტა | 20 ☼ | 20 ☁ |
| გაგრა | 19 ☼ | 16 ☁ |
| სამტრედია | 23 ☼ | 20 ☁ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.1542 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1842 |
| რუბლი | 0.0627 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| რევიუ | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პრესომბუდსმენი | A 8 |


# საქართველო რისკებისთვის ემზადება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ამერიკაში ვიზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება – იმ გამოწვევათა გათვალისწინებით, რაც შეიძლება წარმოიშვას, თუ რუსეთი აღასრულებს თავის მუქარას და მნიშვნელოვნად გააძვირებს ან საერთოდ შეწყვეტს ბუნებრივი აირის მოწოდებას.

გარდა ამისა, რუსეთს აქვს შესაძლებლობა, ხელი შეუშალოს იმ შეთანხმების შესრულებას, რასაც საქართველოსა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა მიაღწიეს ყაზახეთიდან ჩვენი ქვეყნისათვის ბუნებრივი აირის მოწოდების თაობაზე, - რაკი გაზსადენი ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე გადის.

მაგრამ თუ რუსეთი საქართველო-ყაზახეთის პროექტს დაბლოკავს და თავადაც შეწყვეტს ბუნებრივი აირის მოწოდებას პოლიტიკური ნიშნით - ამით იგი დაარღვევს საერთაშორისო "ქცევის წესებს", რაც აუცილებლად უნდა გააკიცხოს მსოფლიო თანამეგობრობამ.

ამ საკითხებზე ვაშინგტონში ისაუბრეს საქართველოს პრემიერმა ნოღაიდელმა და ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრმა სემუილ ბოდმანმა.

"24 საათისთვის" სარწმუნო წყაროდან ცნობილი გახდა ამ საუბრის რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი.

კერძოდ, ზურაბ ნოღაიდელმა გაკვირვება გამოთქვა იმ ტენდენციების გამო, რამაც ბოლო დროს თავი იჩინა ენერგეტიკულ სფეროში რუსეთთან ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ურთიერთობის თვალსაზრისით.

მას მხედველობაში ჰქონდა უპირველესად "ჩრდილოევროპული გაზსადენის" პროექტი, რომელიც უკვე ღიად დაგმეს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებმა – მას "პუტინ-შრიოდერის პაქტიც" კი უწოდეს – "მოლოტოვ-რიბენტროპის" პაქტის ანალოგიით და არცთუ უსაფუძვლოდ.

საქართველოს მხარეს ყველაზე მეტად აქ ის აშფოთებს, რომ გერმანიის ყოფილი კანცლერის, გერჰარდ შრიოდერის გადაწყვეტილებით, დაირღვა ის გეოპოლიტიკური შეთანხმება, რასაც დასავლეთმა და აღმოსავლეთ ევროპამ (მათ შორის საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილმა პატარა სახელმწიფოებმა) მიაღწიეს ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში, რათა არ მიეცათ რუსეთისათვის თავისი "ენერგეტიკული ბერკეტის" გამოყენების საშუალება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "თბილისობა-2005"





ინტერპრესნიუსი

"თბილისობის" დღესასწაულის საზეიმო ღონისძიებები, რომლებიც გუშინწინ დაიწყო, გუშინ დღის 12 საათიდან განახლდა. წლევანდელი ზეიმის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი სანახაობა რიყეზე, დარეჯანის სასახლესთან თბილისობისთვის დადგმული გიგანტური საწნახელი გახლდათ, რომელშიც ერთდროულად ორმოცდაათზე მეტ ადამიანს შეეძლო ყურძნის დაწურვა. ყურძენს მანქანებიდან საწნახელში "პატრიოტები" ტვირთავენ. ღვინის დაწურვის ცერემონიალი თბილისის მერმა გიგი უგულავამ და მისი გუნდის წარმომადგენლებმა გახსნეს. ყურძენი კი რიგით მოქალაქეებთან ერთად საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური გუნდების წარმომადგენლებმა რეზინის ჩექმებით დაწურეს. ამ ტრადიციულ რიტუალში მონაწილეობა მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფმა საარბრუკენის ვიცე-მერმაც. ცერემონიას 10 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

დაწურული ყურძნის წვენი კომპანია "სარაჯიშვილის" მიერ დადგმულ კასრებში ჩაასხეს. რქაწითელის ჯიშის ყურძენი კი, სპეციალურად "თბილისობისთვის", სოფელ ჩალაუბანში შეისყიდეს.

თბილისის მერის, გიგი უგულავას განცხადებით, წლევანდელ "თბილისობაზე" დაწურული ყურძენი ჩამოისხმება, რის შემდეგაც გაეგზავნება საქართველოს საელჩოებს უცხოეთში, "თბილისობა-2005"-ის აღსანიშნავად. ასევე, ღვინო "თბილისობა-2005"-ის შეძენა მაღაზიებშიც იქნება შესაძლებელი.

საწნახელის უკან დამონტაჟებულ სცენაზე ფოლკლორული და ქალაქური მელოდიები შესრულდა. პარალელურად, ღონისძიებები ქალაქის სხვადასხვა უბნებშიც გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში ქართული მუსიკის თანხლებით ქალაქში მოძრაობდა ავტობუსი, საიდანაც თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს ქართულ კერძებს სთავაზობდნენ.

თბილისობაზე თბილისის საპატიო მოქალაქეებიც დააჯილდოვეს, რომელთაც ეს ტიტული თბილისის მერმა გიგი უგულავამ და პრეზიდენტის მეუღლემ სანდრა რულოვსმა გადასცეს. ამიერიდან, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი, თბილისის გერბის შემქმნელი, მხატვარი ემირ ბურჯანაძე და გერმანელი პროფესორი გერჰარდ შოლდსი თბილისის საპატიო მოქალაქეები არიან.

სადღესასწაულო ღონისძიების ფარგლებში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, თემქის დასახლებაში ბეისბოლის პირველი მოედანი გახსნა და იქვე აღნიშნა, რომ ხელისუფლების პრიორიტეტი თბილისის გარეუბნების ინფრასტრუქტურის განვითარებაა.

"თბილისობა-2005" გუშინ საღამოს თავისუფლების მოედანზე, საქართველოს ისტორიულ ფაქტებზე აგებული მუსიკალურ-თეატრალიზებული შოუს წარმოდგენის შემდეგ საზეიმოდ დაიხურა.

*24 საათი*

# სალომე ზურაბიშვილი - ახალი შანსი ოპოზიციისთვის

ეკა კვესიტაძე

გადაყენების დღეს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა საზოგადოებაში მოსაზრებათა სრული პოლარიზაცია გამოიწვია. პარლამენტის წევრთა ქაჯებად მოხსენიება და ხალხისთვის მოწოდება, შეკრებილიყვნენ იპოდრომზე, მართლაც შეიცავდა ეპატაჟის ნიშნებს იმ გარემოში, სადაც თანამდებობიდან გადაყენებული მინისტრები ხელოვნური კმაყოფილებით აცხადებენ, რომ იგივე გუნდის წევრებად რჩებიან და ქვეყანას მათი მოღვაწეობა სხვა თანამდებობაზე უფრო გამოადგება. ზურაბიშვილი ჯერჯერობით ერთადერთი მაღალჩინოსანი აღმოჩნდა, რომელმაც გადაყენებისთანავე დაიწყო პოლიტიკური განცხადებების გაკეთება და ხალხს პროტესტის გამოხატვისაკენ მოუწოდა. ამ მოწოდებამ საზოგადოების ერთ ნაწილს ირონიული ღიმილი მოჰგვარა, მეორე ნაწილი კი სიხარულით გამოეხმაურა ყოფილ მინისტრს და იპოდრომს მიაშურა.

რამდენად სამართლიანი იყო სალომე ზურაბიშვილის გადაყენება იმ ფონზე, როცა განსაკუთრებული კომპეტენტურობით არც სხვა მინისტრები გამოირჩევიან? – ეს არის კითხვა, რომელიც ბოლო დღეებში ყველაზე ხშირად ისმის.

ზურაბიშვილს, არცთუ ისე ხანგძლივი მოღვაწეობის მანძილზე, საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუგროვდა და ამას ვერავინ უარყოფს. მაგრამ რამდენად არსებითი იყო ეს შეცდომები საიმისოდ, რომ ის თანამდებობიდან გადაეყენებინათ? მაშინ როდესაც ფინანსური პოლიციის უფროსის პასუხისმგებლობის საკითხი არც ნარკომანი მეგობრების მაღალ თანამდებობებზე დანიშვის და არც "ნიკალაში" შეჭრის შემდეგ არ დამდგარა; როცა არც ერთ პარლამენტარს არ დაუსვამს კითხვა მთელი ამ ხნის განმავლობაში - რატომ არაფერი ხდება ჯანდაცვის სფეროში, როცა ერთი თანამდებობიდან გათავისუფლებულ არაეფექტურ მაღალჩინოსნებს სხვა თბილ ადგილებს უძებნიან და ასე შემდეგ.

მაგრამ, არსებობს საწინააღმდეგო ლოგიკაც: მაშინ ვერც ერთი მინისტრი ვერ უნდა მოხსნას პრეზიდენტმა, რადგან მთავრობის სხვა წევრები იდეალურები არ არიან. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, აქცენტი იმ შეცდომების სიმძიმეზე უნდა გაკეთდეს, რის გამოც ერთ მინისტრს ხსნიან, სხვებს კი თანამდებობებზე ტოვებენ.

შესაძლოა, ის შეცდომები, რომელიც თავის თავში სამინისტროს არაეფექტურ მართვასაც მოიცავდა, ბუნებრივად უნდა დაგვირგვინებულიყო საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომით, მაგრამ მაშინ ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ასევე ადეკვატურ რეაგირებას ახდენს სხვა მაღალჩინოსანთა მიერ გადადგმულ არასწორ ნაბიჯებსა თუ არაეფექტურ ხელმძღვანელობაზე.

### რას ნიშნავს "ქაჯობა" ქართულ პოლიტიკაში?

ქაჯები – ამ პროვოკაციულმა შეფასებამ საზოგადოების ნაწილის აღშფოთება, ნაწილის კი აღფრთოვანება გამოიწვია. კითხვაზე, თუ რა იგულისხმა ზურაბიშვილმა, როცა ეს შეფასება იხმარა, მან ღიმილით უპასუხა - ის, რასაც ყველა გულისხმობსო.

როცა ვინმეს ქაჯად მოიხსენიებენ, მაშინ, ბუნებრივია, არავინ ფიქრობს, ვეფხისტყაოსანზე, ნესტან-დარეჯანსა და ტარიელზე. ქაჯი დღეს "გოიმის" სინონიმია და პირადად მე მგონია, რომ, როდესაც პარიზში დაბადებული და გაზრდილი მინისტრი ქალბატონი ამ სიტყვებს ხმარობდა, მისთვის სხვა კონცეპტუალური დატვირთვა არც მიუნიჭებია.

ხოლო საზოგადოების ნაწილის აღფრთოვანება ამ ტერმინით იმ გაღიზიანების გამომხატველი იყო, რომელსაც პარლამენტში თავმოყრილი გმირი კირკიტაძეები იწვევენ.

შესაძლოა, ზურაბიშვილის გამოსვლა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ გასაზიარებელი იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, ვერც მისი სამინისტრო გახდა ის უწყება, რომელიც "არაქაჯური" იქნებოდა და ახალ სტანდარტებს დააწესებდა.

ქაჯების მსგავსად, ძნელი სათქმელია, ზუსტად რას გულისხმობდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, როდესაც ამბობდა, რომ უცხო სხეული იყო ხელისუფლებაში. თუ - რომელიმე პოლიტიკურ გუნდთან კავშირს, მაშინ სავსებით მართალია, ის არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური დაჯგუფების წევრი და, შესაბამისად, მის დასაცვად ისე არავის გამოუდია თავი, როგორც თავის დროზე, მაგალითად, კეზერაშვილის მხარდასაჭერად. მაგრამ, თუ ზურაბიშვილი მართვის სტილს გულისხმობდა, მაშინ ძნელია ის სტილი, რომლითაც ის სამინისტროს მართავდა, განსხვავებულად და არასაბჭოურად მივიჩნიოთ. ნეპოტიზმი ანუ ნათესავებისა და მეგობრების ჩარევა საკადრო პოლიტიკაში, თუ სადმე იყო გამეფებული, პირველ რიგში, საგარეო საქმეთა სამინისტროში. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, არსებულ გარემოსთან ყოფილი მინისტრის გაუცხოებაზე ლაპარაკი ცოტა გადაჭარბებულია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სისხლიანი სპეცოპერაციები დასავლეთ საქართველოში

*გუშინწინ დასავლეთ საქართველოში სამართალდამცველებმა ორი სპეცოპერაცია ჩაატარეს და ორივე ორმხრივი სისხლისღვრით დასრულდა.*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა სვანეთში სპეცოპერაცია საშიში ბოროტმოქმედის და მისი ჯგუფის წევრების დასაკავებლად დაგეგმეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მერაბ გერგაიას განცხადებით, ბოროტმოქმედები, რომელთა დაკავებასაც აპირებდნენ, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა კატეგორიას განეკუთვნებიან და, მათი ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით, ოპერატიული მუშაობა ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. მიუხედავად ხანგრძლივი მზადებისა, დამნაშავეთა დაკავება უსისხლოდ ვერ მოხერხდა. ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრა ორი პოლიციელი და ერთი ექვმიტანილი.

საბოლოოდ კი სამართალდამცველებმა მაინც შეძლეს მთავარი სამიზნის დაკავება, რომელიც, პოლიციის ინფორმაციით, რამდენიმე მკვლელობისთვის 12 წლის განმავლობაში იძებნებოდა. მასთან ერთად აყვანილია, ასევე, განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედთა ექვსკაციანი ჯგუფი. შემთხვევის ადგილიდან სამართალდამცველებმა ამოიღეს სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები და ნიღბები. გარკვეული ოპერატიული მოსაზრებებით, პოლიცია დაკავებულთა ვინაობას არ ასახელებს. მერაბ გერგაიას განცხადებით, მათ აქვთ ინფორმაცია დაჯგუფების დანარჩენი წევრების ვინაობის შესახებ და მიმდინარეობს მათი ადგილსამყოფელის დადგენა, რის შემდეგაც სპეცოპერაცია მესტიაში კვლავ ჩატარდება.

გაგრძელება A5 გვერდზე

## სამშვიდობო მოლაპარაკებების ახალი ფორმატი

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაემგზავრება.

კომისიის სხდომაზე, რომელიც 24-25 ოქტომბერს გაიმართება, ქართული მხარე სამშვიდობო მოლაპარაკებების ახალ ფორმატს წარადგენს. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით, მოსკოვში დაგეგმილ შერეული საკონტროლო კომისიის მორიგ სხდომაზე ქართული მხარე სამშვიდობო პროცესის მონაწილეებს, შსკ-ს ახალ ფორმატთან და სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ოფიციალური თბილისის მიდგომებს გააცნობს.

მისივე თქმით, ქართული მხარე მოსკოვის შეხვედრაზე ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის მუშაობაში ეუთოსა და ევროკომისიის უშუალო ჩართვას მოითხოვს.

ხაინდრავა მიიჩნევს, რომ დღეს მოქმედი ფორმატით ეუთო და ევროკომისია სრულფასოვნად ვერ მონაწილეობენ პროცესებში და იმისათვის, რომ პროცესმა დინამიკა შეიძინოს, მათ ამის საშუალება უნდა მიეცეთ.

"მოსკოვის შეხვედრა საეტაპო მნიშვნელობის იქნება. მიკიბულ-მოკიბული საუბრებისა და შეუსრულებელი გადაწყვეტილებების დრო წავიდა," - აღნიშნავს ხაინდრავა. **ინტერპრესნიუსი**

## აშშ-ს სენატი პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმას მხარს უჭერს

ამერიკის ენერგეტიკის მინისტრმა სამუელ ბოდმანმა აშშ-ში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს განუცხადა, რომ მომავალ კვირას რუს კოლეგებთან შეხვედრისას აუცილებლად წამოჭრის საქართველოს ენერგეტიკული უშიშროების, მათ შორის, აზიიდან გაზის ცენტრალური მოწოდების საკითხს. საქართველოს პრემიერის განცხადებით, ამერიკამ რუსეთს ცენტრალური აზიიდან მომავალი კომუნიკაციების დაბლოკვაში ხელი უნდა შეუშალოს. ზურამ ნოღაიდელმა სენატორ მაკკონელთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ამერიკაში მისი ვიზიტის მთავარი მიზანია, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით, პრეზიდენტ სააკაშვილის გეგმის მხარდაჭერა. სენატორმა პასუხად განაცხადა, რომ პრეზიდენტის გეგმას სენატის სრული პოლიტიკური მხარდაჭერა ექნება.

სენატორმა მიჩ მაკკონელმა ამერიკის სენატის სახელით ზურაბ ნოღაიდელს მადლობა უთხრა განსაკუთრებული მხარდაჭერისათვის, რაც საქართველომ ამერიკას აღმოუჩინა ერაყში.

სენატორის თქმით, საქართველოს წვლილი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნატო-ს წევრი ზოგიერთი ქვეყნის. **მედიანიუსი**

## აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით აშშ ახალი სამშვიდობო ინიციატივით გამოვა

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთის და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, დეკემბერში აშშ-ს ხელისუფლება ახალი სამშვიდობო ინიციატივებით გამოსვლას აპირებს. ამ ახალი ინიციატივების გახმიანება ეუთოს მინისტრთა საბჭოს ყოველწლიურ სხდომაზე მოხდება. სხდომა 5-6 დეკემბერს სლოვენიაში, ლიუბლიანაში გაიმართება.

"პოსტსაბჭოთა ისტორიაში აშშ სამშვიდობო პროცესის მონაწილე პირველად გახდება. ამერიკის მთავრობის როლს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამერიკელებს არა მარტო შეუძლიათ ამ კონფლიქტების მოგვარება, არამედ მოლაპარაკებების მაგიდას ჩვენთან ერთად მიუჯდება მხარე, რომელსაც შეუძლია დაარწმუნოს რუსეთი, რომ სამშვიდობო პროცესი მომგებიანია. ჩვენ ამერიკელებთან ერთად ვმუშაობთ სამშვიდობო გეგმაზე, რომელშიც მონაწილეობა რუსეთმაც უნდა მიიღოს," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მისი თქმით, თუკი საერთაშორისო შუამავლები მშვიდობის თვალსაზრისით პროგრესს მიაღწევენ, განეიტრალდება ის ძალისმიერი ქმედებების მოწოდებები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მძაფრდება საქართველოში სეპარატიზმთან დაკავშირებით. აშშ-ს გარდა, საქართველოს პრეზიდენტი კონფლიქტების მოგვარების პროცესში გააქტიურებისკენ ევროკავშირსაც მოუწოდებს. **მედიანიუსი**

## გზების რიგ მონაკვეთებზე ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხებულია. როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 105-122 კილომეტრში, გოდერძის უღელტეხილზე დიდთოვლობის გამო ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა აკრძალულია. ჭუბერი-საკენი-ომარიშარის საავტომობილო გზის 12-40 კილომეტრში მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ სამხიდიანი ტრანსპორტისთვის, მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მოძრაობა შეზღუდულია მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 128 კილომეტრზეც, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. აქ ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა დასაშვებია ცალმხრივად, ხოლო მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსებისთვის - მხოლოდ დილის 7 საათიდან საღამოს 20 საათამდე.

ასევე, კვლავ ცალმხრივია მოძრაობა ზუგდიდი-ლასდალის საავტომობილო გზის 28-128 კილომეტრში, სადაც 19 ოქტომბერს ძლიერი წვიმების გამო მეწყერი ჩამოწვა. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პრივატიზაცია გრძელდება

მცხეთის რაიონში, კერძოდ, ზაჰესში, სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გაყიდვის მიზნით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აუქციონს აცხადებს. სამინისტრო ქონების გაყიდვას ხუთ ლოტად აპირებს. ერთი ლოტი 3 ჰექტარ მიწის ფართს მოიცავს, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით. თითო ლოტის საწყისი გასაყიდი ფასი 1 050 000 დოლარია. ქონების ყიდვის მსურველებმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადები 24 ოტომბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით უნდა წარადგინონ. აღნიშნული პრივატიზაციიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ბიუჯეტში ხუთ მილიონ დოლარზე მეტი თანხის მობილიზებას გეგმავს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შპს "აგროსისტემები" მეორედ გამოაქვს გასაყიდად. "აგროსისტემები" თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარეობს და მილიონ 250 000 დოლარად არის შეფასებული. საწარმო 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს და მთლიანად იყიდება. "აგროსისტემების" პროფილი პურპროდუქტების შესყიდვა, ექსპორტ-იმპორტი, რეალიზაცია და აგენტის ფუნქციებია. მისი საწესდებო კაპიტალი 562 720 ლარია, კრედიტორული დავალიანება - 22 664 ლარი, ხოლო დებიტორული დავალიანება - 1 708 384 ლარი. სამინისტროში აღნიშნულ ობიექტზე განაცხადების მიღება 24 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე გასტანს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკული ხორბლის შენახვა-რეალიზაციას, რომელსაც საქართველო დახმარების სახით ყოველწლიურად იღებს, სწორედ აღნიშნული კომპანია ემსახურებოდა. პირველი აუქციონის გამოცხადების შემდეგ, ობიექტზე განაცხადები არ გაკეთებულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველო რისკებისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

შრიოდერის სეპარატული გადაწყვეტილება კი საშუალებას აძლევს კრემლს, გვერდი აუაროს აღმოსავლეთ ევროპას – დასავლეთში ბუნებრივი აირის მიწოდების თვალსაზრისით და მთლიანად, ამ სფეროში მიმართოს ზეწოლის მეთოდებს.

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, რუსეთის ფედერაციის საბჭოზე გამოსვლისას ღიად განაცხადა, რომ "რუსეთი გამოიყენებს ენერგეტიკული ზეწოლის ბერკეტებს დსთ-ს სივრცეში თავისი ინტერესების გასატარებლად".

გასაგებია, რომ დასავლეთს სჭირდება ენერგომატარებლები, მაგრამ ამ ინტერესთა დაკმაყოფილება არ უნდა ხდებოდეს "აღმოსავლეთ ევროპის გაწირვისა და რუსეთისათვის ჩაბარების" გზით.

მით უმეტეს, რომ დასავლეთი ამ სფეროში თავად ითხოვდა აღმოსავლეთ ევროპისაგან (მათ შორის საქართველოსგან და ბალტიისგან) – კოორდინირებული პოლიტიკის გატარებას რუსეთთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით. საქართველო ამ მხრივ პირნათლად ასრულებდა თავის ვალდებულებებს – საკმარისია გავიხსენოთ, რომ თბილისმა მოსკოვს უარი უთხრა დიდი გაზსადენის მიყიდვაზე სწორედ იმიტომ, რომ ამით დაირღვეოდა "თამაშის საერთო წესები" - ენერგეტიკულ სფეროში რუსეთთან ურთიერთობისა.

ყველა ამ საკითხზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათ შორის საქართველო და ბალტიის სახელმწიფოები, უახლოეს მომავალში იმსჯელებენ სუუამისა და "ბორჯომის დემოკრატიული ინიციატივის" ფარგლებში, რათა შეიმუშაონ საერთო სტრატეგია.

ამავდროულად, ზურაბ ნოღაიდელის თქმით, საქართველომ ყველა ვალდებულება შეასრულა "დიდი გაზსადენისა" და "დიდი ნავთობსადენის" მშენებლობის თვალსაზრისით. პოლიტიკური რისკებისა და მრავალი დარტყმის მიუხედავად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით დასავლეთი უკვე მიმდინარე წლის ბოლოს ან 2006 წლის იანვარში მიიღებს დღეში 1 მილიონი ბარელით მეტ ნავთობს, რაც ხელს შეუწყობს ნავთობზე ფასების სტაბილიზირებას.

გარდა ამისა, ზურაბ ნოღაიდელმა სემუელ ბოდმანს მიაწოდა ინფორმაცია ყაზახეთის პრეზიდენტის განცხადების შესახებ (ეს განცხადება ნურსულთან ნაზარბაევმა თბილისში გააკეთა), რომლის თანახმად, ყაზახეთი მზად არის, შეუერთდეს ბაქო-თბილის-ჯეიჰანის პროექტს. ექსპერტთა აზრით, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ თურქეთი აპირებს მნიშვნელოვნად შეამციროს ბოსფორის სრუტის გავლით ტანკერების მოძრაობა ანუ ყაზახეთი ველარ შეძლებს "თენგიზის" გრანდიოზული საბადოდან ნოვოროსიისკის პორტის მეშვეობით ნავთობის ევროპაში გადაზიდვას. ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად დაგეგმილი ოდენობით.

უფრო მეტიც, ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ყაზახეთი მზად არის, იმუშაოს ტრანსკასპიურ მილსადენზეც კი (!), რათა კასპიის ფსკერზე აგებული გაზსადენით და ნავთობსადენით შეძლოს ნახშირწყალბადთა მიწოდება მსოფლიო ბაზარზე.

ზურაბ ნოღაიდელმა ამერიკის ენერგეტიკის მინისტრს მხარდაჭერა სთხოვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში – სწორედ საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო იწყებს შავი ზღვის შელფში არსებული ნავთობის მარაგების შესწავლას. ამ საკითხზე პრემიერი ჩიკაგოში შეხვდა ნავთობკომპანია "ანადარკოს" მესვეურებს.

მაგრამ საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ გაზის საკითხები, ვინაიდან "შაჰ-დენიზის" პროექტის ამჟამინდელი პოტენციალი (6 მილიარდი კუბური მეტრი წელიწადში) არ არის საკმარისი, დააკმაყოფილოს ერთდროულად სამი ქვეყნის (აზერბაიჯანის, თურქეთის და საქართველოს) მზარდი მოთხოვნები. ყოველ შემთხვევაში 2012 წლამდე, როდესაც აზერბაიჯანი უფრო მეტი ოდენობით ბუნებრივი აირის მოპოვებას შეძლებს.



ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრა სემუილ ბოდმანთან.

სემუილ ბოდმანმა ზურაბ ნოღაიდელს მხარდაჭერა აღუთქვა ყველა ამ საკითხის გადაწყვეტაში და განაცხადა, რომ მთლიანად ეთანხმება საქართველოს პრემიერის პროგნოზებსა და შეფასებებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკიდან ზურაბ ნოღაიდელი ვენაში მიემგზავრება, სადაც "სამხრეთ ოსეთში" კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გეგმა უნდა გამოაქვეყნოს - ამერიკის ენერგეტიკის მინისტრთან გამართული მოლაპარაკება, დამკვირვებელთა აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი წინასწარ თვლის ყველა მოსალოდნელ შედეგს (რუსეთის გარდაუვალი უკმაყოფილების გათვალისწინებით) და საკმაოდ ოსტატურად ახერხებს იმგვარი ვითარების შექმნას, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მხოლოდ ორმხრივი პრობლემა არ იყოს და მთლიანად, დასავლეთ-რუსეთის ენერგეტიკული და პოლიტიკური ურთიერთმოქმედების კონტექსტში განიხილებოდეს.

ეს ურთიერთდაკავშირება წითელ ხაზად გასდევდა ზურაბ ნოღაიდელის ყველა შეხვედრას ვაშინგტონში და მისი ვიზიტის ძირითად თემადაც იქცა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლება მართლაც სერიოზულად ემზადება იმ რისკებისათვის, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით განხორციელებული ძალისხმევა უეჭველად წარმოშობს.

*საკუთარი ინფორმაცია*

### ნოღაიდელი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა

*საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი აშშ-ში გრძელდება. გუშინ აშშ-ში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორს დონა დოვსეთ კორელიოს შეხვდა.*

**"დღევანდელმა მთავრობამ ეკონომიკური რეფორმების, ბიუჯეტის ზრდის, გადასახადების ამოღების და კონტრაბანდის აღკვეთის თვალსაზრისით, რამდენიმე თვის განმავლობაში იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შევარდნაძის მთავრობამ 10 წლის მანძილზე. ჩვენ ძალზე კმაყოფილი ვართ იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, რასაც ამჟამად უკვე ყველა აღიარებს. ბევრი რამ ქართველ ექსპერტებს და მათ უცხოელ კოლეგებს ამ სამი-ხუთი წლის წინ საერთოდ მიუღწევლად ეჩვენებოდათ,"** - განაცხადა შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა.

ზურაბ ნოღაიდელს მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა, აგრეთვე, ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგართან. საქართველოს პრემიერმა გავლენიან სენატორს და, მისი სახით, ამერიკის სენატს დახმარება სთხოვა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ შემუშავებული გეგმის მხარდაჭერაში.

ზურაბ ნოღაიდელი მომავალ კვირას აპირებს, ამ გეგმის შესახებ ვენაში, ეუთოს საბჭოს სხდომაზე ისაუბროს, რადგან ამ კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიან მოწესრიგებაზე პასუხისმგებლობა 13 წლის წინათ სწორედ ეუთომ იკისრა.

რიჩარდ ლუგარმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს განუცხადა, რომ ამერიკის სენატი და ამერიკის სრულუფლებანი წარმომადგენელი ეუთოში მთლიანად მხარს დაუჭერენ "სამხრეთ ოსეთში" კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის პრეზიდენტისეულ გეგმას.

*24 საათი*

# სალომე ზურაბიშვილი - ახალი შანსი ოპოზიციისთვის

პირველი გვერდიდან

### ახალი ლიდერის დაბადება

მწვავე პოლიტიკური განცხადებები რომ არა და ცოტათი - დიპლომატია, სამთავრობო ტრადიცია, ალბათ, არც დაირღვეოდა და სალომე ზურაბიშვილი დღეს უკვე უშიშროების მდივანი იქნებოდა. ახლა ძნელი სათქმელია, სპონტანურად თუ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მიილო განაწყენებულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელისუფლების დატოვებისა და ოპოზიციაში გადასვლის გადაწყვეტილება. თუ მისი ინტერვიუს მიხედვით ვიმსჯელებთ, ალბათ, სპონტანურად. ასეა თუ ისე, მისი ყოფნა დღეს ოპოზიციას აშკარად უფრო წაადგება, ვიდრე ხელისუფლებას, განსაკუთრებით - უფუნქციო უშიშროების მდივნის როლში.

ზურაბიშვილის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ ცოტამ თუ დაიჯერა, რომ მის მოწოდებას ხალხი გამოეხმაურებოდა, მაგრამ მეორე დღეს იპოდრომზე შეკრებილთა რაოდენობამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ოპოზიციის ყველა ლიდერმა კარგად იცის, რომ ერთ მოწოდებაზე ამდენი ხალხის გამოყვანა ძალზე ძნელია. ამიტომაცაა, რომ დღეს ყველა მათგანი ზურაბიშვილის ქარიზმატულ ფიგურასთან ახლო პოლიტიკური კავშირების დამყარებას ცდილობს.

ქარიზმა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს უდავოდ აღმოაჩნდა. მისი წარმომავლობა, ოჯახის ისტორია და გარეგნობა ამ ქარიზმას თავისთავად ქმნის. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იმ დღეს იპოდრომზე არა მაინცდამაინც სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერები, არამედ უფრო ხელისუფლებაზე განაწყენებული ადამიანები შეიკრიბნენ, რომლებიც ოპოზიციის არსებულ ლიდერებში თავიანთ ლიდერს ვერ პოულობენ. სხვათაშორის, საინტერესოა ის დეტალი, რომ შეკრებილთა უმრავლესობა თბილისის ე.წ. ელიტარული ნაწილი იყო, რომელიც პირველი აღმოჩნდა ხელისუფლებაზე უკმაყოფილო ადამიანებს შორის.

პოლიტიკა, რომელიც საზოგადოების ამ ნაწილთან ურთიერთობაში სააკაშვილმა და მისმა გუნდა აირჩია, სრული იგნორირების პოლიტიკაა. მათ მიაჩნიათ, რომ მთავარი აქცენტი უბრალო ხალხზე უნდა გაკეთდეს და არა საზოგადოების ე.წ ელიტარულ-სნობურ ნაწილზე, რომელიც ყველა ხელისუფლებისაგან "კუთვნილ" პრივილეგიებს ითხოვს. ეს მიდგომა, შესაძლოა, არც იყოს მცდარი, თუმცა ხელისუფლებამ საჭირო და საკმაოდ საშიში ზღვარის დაცვა ვერ მოახერხა, სულ მინიმუმ ურთიერთობისა თუ პოლემიკისთვის შერჩეული ფორმებით მაინც. ხელისუფლებაზე განაწყენებული საზოგადოების ეს ფენა დიდი ხანია ეძებს ლიდერს, მაგრამ ის ვერც ზედმეტად ოდიოზურ გამყრელიძეში და ვერც დაბალ ფენებთან ურთიერთობის მოყვარულ კობა დავითაშვილში ნახა. სამაგიეროდ კარგი წარმომავლობის, პარიზში დაბადებული და სიმპათიური ზურაბიშვილი ის პერსონაა, რომელიც მათ გემოვნებასა და მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. თუ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის დაწყებული პოლიტიკური მოღვაწეობა "ქაჯების" წინააღმდეგ გაერთიანებულ ზედმეტად სნობურ-ელიტარული ორდენის ფორმას არ მიიღებს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სალომე ზურაბიშვილის წვლილი ოპოზიციის და ზოგადად ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებაში საკმაოდ დიდი იქნება.

ვითარება, სადაც ხელისუფლება ერთადერთად, უალტერნატივოდ და დაუმარცხებლად მიიჩნევს თავს, თანდათან უფრო არაჯანსაღი ხდება. მაგრამ, თვითკმაყოფილებიდან გამოსაფხიზლებლად, ალბათ, საკმარისი უნდა ყოფილიყო იპოდრომზე ერთი მოწოდებით შეკრებილი უამრავი ხალხი.

ზურაბიშვილი შესაძლოა, იქცეს იმ ფიგურად, რომელიც მაღალი რეიტინგით განებივრებულ პრეზიდენტს მოსვენების საშუალებას არ მისცემს. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, გარდა ქარიზმისა, პოლიტიკოსისათვის აუცილებელი თვისებები გამოამჟღავნა. იმდენად, რამდენადაც მისი ორგანიზატორული ნიჭი საგარეო საქმეთა სამინისტროში არ გამობრწყინებულა, მას არც ახლა უნდა ველოდოთ. სავარაუდოა, რომ ის რომელიმე ძველი თუ ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტიის სახე უფრო გახდება, ვიდრე ოპოზიციის შიგნით პროცესების წარმმართველი. მის უკან კი ბევრი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს, დავით გამყრელიძით დაწყებული, ბადრი პატარკაციშვილით დამთავრებული.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: თუ პროცესებს უფრო გავამარტივებთ, მაშინ ბრძოლაში, რომელიც ზურაბიშვილმა სახელისუფლებო ფრონტზე წააგო, გამარჯვებული პარლამენტის თავმჯდომარე დარჩა, თუმცა ახალი ბრძოლა, რომელიც უკვე პოლიტიკურ არენაზე დაიწყო, სავარაუდოა, პირიქით დამთავრდეს. ნინო ბურჯანაძეს, რომელსაც ხელისუფლებაში საკმაოდ სუსტი პოზიციები აქვს, ერთი ყველაზე მომგებიანი კოზირი ჰქონდა - ოპოზიციაში გადასვლით ხელისუფლების ფარული შანტაჟი. მაგრამ, მისი ნიშა უკვე დაკავებულია.

# ცვლილებები - ფარმაცევტული ფირმებისა თუ ბიუჯეტის სასარგებლოდ?

*ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა ერთხმად მიიღო ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონის ცვლილებების პროექტი, რომელიც წამლის რეგისტრაციის გადასახადის სამჯერ გაზრდას ითვალისწინებს. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გეგელაშვილი აცხადებს, აღნიშნული ცვლილება ხელსაყრელია როგორც ბიუჯეტისთვის, ასევე ფარმაცევტული ფირმებისთვისაც. თუმცა, თვით ფარმაცევტულ ფირმებს რეგისტრაციის გადასახადის გაზრდა სულაც არ ახარებთ.*

ნანა ქადაგიშვილი

ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ მოქმედი კანონის თანახმად, წამლის რეგისტრაცია 1000 ლარი ღირს. კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის მიხედვით კი, რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა ერთხმად მოიწონა, რეგისტრაციის გადასახადი სამი ათას ლარამდე იზრდება. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გეგელაშვილი აცხადებს, ფარმაცევტულ ფირმებს, არაოფიციალურად, ოფიციალურ გადასახადზე ბევრად მეტის გადახდა უწევთ. **"სწორედ ამის გამო, წამლის რეგისტრაციის ღირებულების გაზრდა მართებულად მიგვაჩნია. კერძო პირების ჯიბეების ნაცვლად ფული ბიუჯეტში შევა. სხვათა შორის, ეს ფარმაცევტულ ფირმებსაც ხელს აძლევს, წამლის რეგისტრაციის ღირებულებას ოფიციალურად გადაიხდიან,"** – აცხადებს გეგელაშვილი. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის ზოგიერთი წევრი გადასახადის მეტად გაზრდასაც კი მოითხოვდა და სომხეთის მაგალითს ასახელებდა. სომხეთში წამლის რეგისტრაციის გადასახადი სამი ათას ლარზე მეტიაო, აცხადებდნენ კომიტეტის წევრები, მაგრამ ბოლოს ქართული ფარმაცევტული ფირმები შეიცოდეს და სამი ათას ლარზე შეჩერდნენ. **"უცხოური იმპორტიორი ფირმებისთვის 3 ათასი ლარი არაფერია, მაგრამ ქართულ ფირმებს მეტის გადახდა გაუჭირდებათ. რაც შეეხება წამლის ფასს, რეგისტრაციის გადასახადის გაზრდა წამლის ღირებულების ზრდას არ გამოიწვევს, რადგან ფირმები არაოფიციალურად ისედაც თითქმის ამდენს იხდიან,"** – განმარტავს გეგელაშვილი.

აღნიშნული კანონპროექტის ცვლილების ბედი პლენარულ სხდომაზე გადაწყდება. ფარმაცევტული ფირმები კი ამ სიახლეს სიხარულით სულაც არ ხვდებიან. **"სამი ათასი ლარი ძალიან ბევრია. ამდენ თანხას არაოფიციალურად არავინ იხდის. წამლის რეგისტრაციის დაჩქარებას ფირმები 100-200-დოლარიანი საჩუქრებითაც ახერხებენ. რეგისტრაციის გადასახადის სამი ათას ლარამდე გაზრდა კი ქართულ წარმოებას დაახრჩობს. ზოგიერთ ქართულ ფარმაცევტულ ფირმას ამდენი წლიური შემოსავალიც კი არ აქვს. ამხელა გადასახადი საქართველოში წამლების შემოტანის სურვილს უცხოურ ფარმაცევტულ ფირმებსაც დაუკარგავს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ბაზარი პატარაა და უცხოური წამლები მცირე პარტიებად შემოდის. რაც შეეხება სხვა ქვეყნების მაგალითების მოყვანას, იქ ბაზარიც უკეთესია. მაგალითად, აზერბაიჯანში წამლის რეგისტრაციის გადასახადი სამი ათას ლარზე მეტია, მაგრამ უცხოურ ფირმებს, ქართულზე მეტად, აზერბაიჯანული ბაზარი აინტერესებთ,"** – აცხადებს ფარმაცევტული ფირმა "რევერსის" ხელმძღვანელი ლია აფრასიძე.

## ორი სიტყვით

**პარიზი.** საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს განცხადებას, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან სალომე ზურაბიშვილის გათავისუფლებას ეხება. „ეს საქართველოს შიდა პოლიტიკური საქმეა, რაც ჩვენს კომენტირებას არ საჭიროებს. ჩვენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე ქალბატონ ზურაბიშვილის საქმიანობას დადებითად ვაფასებთ," - ნათქვამია განცხადებაში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რუსეთს საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობის პოზიტიური განვითარების იმედი აქვს, რაც ორი ქვეყნის პრეზიდენტების ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს. "ეს შეეხება, პირველ ყოვლისა, ბათუმსა და ახალქალაქში ჩვენი სამხედრო ბაზების ფუნქციონირების და მათი გაყვანის ვადების შეთანხმებას. რუსეთი ასრულებს თავის მოვალეობებს. ვიმედოვნებთ, რომ შეთანხმების დებულების შესრულებას ქართული მხარეც შეუწყობს ხელს. ასეთი მზადყოფნა ჯერ არ შეგვინიშნავს," - აცხადებს ლავროვი. იგი ასევე იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა კონფლიქტების ძალისმიერი გზით მოგვარებას შეეწინააღმდეგება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მიუხედავად თანამდებობიდან მისი გადადგომისა, საქართველოს საგარეო კურსი არ შეიცვლება. ზურაბიშვილი საკუთარ თავს წარმატებულ მინისტრად მიიჩნევს და წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტროში გარკვეული პროცესების დასრულება არ აცალეს. საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის განცხადებით, გარკვეულმა საპარლამენტო ძალებმა პრეზიდენტზე ზეწოლა მოახდინეს და თანამდებობიდან მისი გათავისუფლება აიძულეს. ზურაბიშვილის თქმით, პრეზიდენტმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრის გათავისუფლების ნაცვლად მას პარლამენტი უნდა დაეთხოვა და ამ ნაბიჯით საკუთარი რეიტინგი გაემყარებინა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა თბილისის მერს გიგი უგულავას ჯორჯ ბუშის წერილი გადასცა. როგორც ტეფტმა განაცხადა, წერილში აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მადლობას უხდის თბილისის ხელისუფლებას იმის გამო, რომ მათ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 24-26 ოქტომბერს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი. შეხვედრები გაიმართება საქართველოს ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. 25 ოქტომბერს რობერტ სიმონსი საქართველოში "ნატო-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრის" გახსნას დაესწრება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომელთა ოთხკაციანი ჯგუფი აფხაზეთიდან დაბრუნდა. ეს ჯგუფი კონფლიქტის ზონაში ერთი კვირის წინათ გაემგზავრა. ქართველ ექსპერტებს, აფხაზ და რუს კოლეგებთან ერთად, სოხუმიდან ენგურამდე რკინიგზის ხაზის მდგომარეობა უნდა შეესწავლათ. ქართველ ექსპერტთა ჯგუფის ინფორმაციით, ამ სარკინიგზო მონაკვეთზე საკმაოდ რთული ვითარებაა. სარკინიგზო ხაზი სრულიად ამორტიზებულია. ქართული მხარე მზად არის, გზის რეაბილიტაციაში მონაწილეობა მიიღოს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მოქალაქეები ბანკებში დანაზოგების შენახვას ჯერჯერობით ისევ უცხოურ ვალუტაში ამჯობინებენ. საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 73,6 პროცენტს შეადგენს. აგვისტოს თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი 0,1 პროცენტითაა შემცირებული. მიმდინარე წლის სამ კვარტალში უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 26,2 პროცენტით მოიმატა და სექტემბრის ბოლოსთვის 460,4 მილიონი დოლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგი მისია იმყოფება. ვიზიტი საქართველოში პირველ ნოემბრამდე გაგრძელდება. მისიის ვიზიტის მიზანი „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის მიმდინარეობის განხილვაა. აღნიშნული სამწლიანი პროგრამის ფარგლებში პირველი ტრანში, დაახლოებით 20 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, ეროვნულმა ბანკმა 2004 წლის 21 ივნისს მიიღო. მეორე ტრანში საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე 2005 წლის 11 იანვარს, ხოლო მესამე 5 აგვისტოს ჩაირიცხა. "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის კრედიტების ვადა განისაზღვრება 10 წლით 0,5-პროცენტიანი წლიური სარგებლის გადახდითა და 5,5-წლიანი შეღავათიანი პერიოდით. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაზახი ბიზნესმენები საქართველოში 1 მილიარდ 500 მილიონი დოლარის ინვესტიციების განხორციელებას აპირებენ. ყაზახური ბანკის "ტურან ალემის" პრესსამსახურის ცნობით, ყაზახი ბიზნესმენები საქართველოში თითქმის ყველა სფეროთი არიან დაინტერესებული, კონკრეტულად კი, ინვესტიციების განხორციელებას ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში გეგმავენ. ასევე იგეგმება ბათუმის ცენტრში გრანდიოზული სასტუმროს და გოლფის მოედნის მშენებლობა. ყაზახი ბიზნესმენები საქართველოს ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურითაც ინტერესდებიან. ყაზახური ბანკი "ტურან ალემი" უკვე მონაწილეობს სასტუმრო "ივერიას" და რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციაში. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თბილისობის ქრონიკა



დესი დაშკოვა

ბავშვობიდან მესმის "თბილისობა". ხალხმრავლობის მოტრფიალე არც მაშინ ვყოფილვარ და ამ სიბერეში ხომ მოზღვავებულმა მიტინგომანიამ ადამიანთა თავყრილობებს სულ გადამაჩვია. გუშინდელი თბილისობა ერთი განსაზღვრებით დამამახსოვრდება - "ევროპული თბილისობა", როგორც რამდენჯერმე ტელევიზორიდან ყური მოვკარი. ეგ რაღაა-მეთქი, ვფიქრობ: მტკვარზე კინტოიან-არღნიანი ტივები რომ არ დატივტივებდნენ თუ ქუჩებში მწვადები არ იწვებოდა, ან როგორ აღნიშნავენ ევროპაში თბილისობას, ვინ იცის?!

მოკლედ კი, მე ჩემი ევრო-აზიური თბილისობა მქონდა. "ქალური ფანტაზიები" - იაპონელი პოეტი ქალი ნიჯიო და თანამედროვე ქართველი ფოტოგრაფი ქალი ირინა აბჟანდაძე, ქართველი კოლექციონერების მსოფლიო ისტორიის მომცველი მარკები, "ჯი-ემ-სი" ჯგუფის რესტორნების ქსელის მრავალეროვნული სამზარეულო. გალერეა "კოპალამ" და საქართველოს კოლექციონერთა ეროვნულმა ასოციაციამ ქალაქის მერიასთან და შპს "საქართველოს ფოსტასთან" გამოფენა მოაწყო. საქართველოს კოლექციონერობის ისტორიაში ეს პირველი გამოფენაა, სადაც გამოიფინა ფილატელისტური, ნუმიზმატური, ბონისტიკური და ფალერისტული ქართული კოლექციები. რაც შეეხება ბოლო ორ ტერმინს, მეც გუშინ შევიტყვე, რომ ბონისტი ის ყოფილა, ვინც ქაღალდის ფულისა და ფასიანი ქაღალდების კოლექციას აგროვებს, ფალერისტი კი - სამკერდე ნიშნებსა და ორდენებს. თითოეული ექსპონატი თავისი ისტორიის და ბიოგრაფიის მატარებელია, ისევე, როგორც თავად კოლექციონერები. რაც შეეხება ასოციაციას, რომელმაც ეს საინტერესო გამოფენა თბილისელებს "საქართველოს ფოსტის" დახმარებით შესთავაზა - ის ორი წელია, რაც ხელახლა ჩამოყალიბდა და არსებობს. ისე, ჩემსავით ბევრი ფიქრობს, ნეტა, "რაში მარგია სხვისი კოლექციის ნახვაო", მაგრამ გუშინდელი გამოცდილებით მეგობრულად გირჩევთ: კარგია. ამ გამოფენამ ცოდნაც მომიმატა, მოგონებებიც ამიშალა, გამაცინა კიდეც და ინტერესიც გამიჩინა - რამდენი ამბავი მიამბო ერთმა გამოფენამ.

"N გალერეის" "ქალურმა ფანტაზიებმა" ხომ "კოპალაში" წამოშლილი მოგონებები უფრო გააღვივა. თუ კოლექციონერები უკვე სხვა ადამიანების "მზა" პროდუქციებით ქმნიან თავიანთ შემოქმედებას, "N გალერეაში" ადამიანებმა საკუთარი შემოქმედება პერფორმანსით შემომთავაზეს.

ვიდრე ქართული მამაკაცური ფეხებით საწნახელში ქართული ყურძენი იწურებოდა, საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ ქალურ შემოქმედებას წარმოადგენდნენ.

"Mama Cash" ორგანიზაციაა ქალებისთვის, რომელიც მშვიდობიანი და სამართლიანი სამყაროსთვის იბრძვის (მაინც არ მესმის, ასეთი სამყარო კაცებს არ სჭირდებათ, თუ ერთად ბრძოლაა შეუძლებელი?). გუშინდელი პროექტი გამოფენა "Feminine Fantasies" მათი მხარდაჭერით მოწყობილი ე.წ. "გენდერული დისპლეი" იყო, რომელმაც ექვსი შემოქმედი ქალის ცხოვრების ჭვრეტა და შემოქმედებითი დაუმორჩილებლობა აღბეჭდა: ძველი საცვლებისა და აქსესუარების ნატურმორტების ტრანსფორმაცია, ქალის სრულყოფილი სხეულის კულტის ირონიული ანალიზი, პოეტი ქალის ნიჯიოს ინტელექტუალურ და ფიზიკურ პარტნიორებად გარდასახული ფოტო...

"N გალერეის" შემდეგ კი რესტორან "ძველ სახლში" აღმოვჩნდი შემოდგომის ზეიმზე, რომელიც "ჯი ემ სი" ჯგუფის ინიციატივით კომპანია GWS-ის ღვინო "ძველ თბილისთან" ერთად მოეწყო - ეს უკვე ტრადიციაა. ეზო საშემოდგომოდ იყო მორთული, სტუმრებისთვის იქვე თონეში პურს აკრავდნენ, მწვადებს წვავდნენ, არაყს ხდიდნენ, ჩურჩხელებს თათარაში ავლებდნენ... აივნებზე ტაბლები და ტერასაზე ქართული ალაფურშეტი მოეწყოთ, რესტორნების "მატრიოშკას" და "ტოკიოს" სამზარეულოც აქვე იყო წარმოდგენილი. იყო კინტაური, აჭარული, ბოშური სიმღერები, არღანიც იყო... დარბაზში კი - "თექის სახლის" ქართული თექა და ბატიკა იყო გამოფენილი. მხიარულ განწყობას შამფურზე შემწვარი ქაცარი და, ბოლოს, სადღესასწაულო ტორტიც "დაშვენდა" ფეიერვერკთან ერთად. აქ დღეც მიილია...

რით არ გამომივიდა ევროაზიური თბილისობა?!





უცხოეთი

## პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა

### უახლოეს დღეებში გაირკვევა, ვინ გახდა პოლონეთის ახალი პრეზიდენტი

*პოლონეთში 9 ოქტომბერს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ვერ გამოავლინა. სწორედ ამიტომ გუშინ პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა. ქვეყნის საზოგადოებრივი ტელევიზიის დაკვეთით, წინა საარჩევნო პერიოდში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლონეთის მოსახლეობის უმრავლესობა დონალდ ტუსკის კანდიდატურას ანიჭებს უპირატესობას.*

ნანა ნასყიდაშვილი

პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა. მასში მონაწილეობის უფლება 30 მილიონამდე ადამიანს ჰქონდა. ქვეყნის მაშტაბით საარჩევნო უბნები, ადგილობრივი დროით, დილის 6 საათზე გაიხსნა და ხმის მიცემის პროცედურა საღამოს 8 საათამდე გაგრძელდა.

გუშინდელ არჩევნებში ქვეყნის პირველი პირის თანამდებობის დასაკავებლად ერთმანეთს მემარჯვენე ლიბერალური პარტია "სამოქალაქო პლატფორმის" ლიდერი დონალდ ტუსკი და ვარშავის მერი, კონსერვატორული პარტია "უფლება და სამართლიანობის" წარმომადგენლი, ლეხ კაჩინსკი დაუპირისპირდნენ. პოლონეთის სახელმწიფო საარჩევნო კომისიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ მონაცემთა მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, რომელიც 2005 წლის 9 ოქტომბერს გაიმართა, ტუსკმა - ხმათა 36,10 პროცენტი, ხოლო კაჩინსკიმ 33,10 პროცენტი დააგროვა. საგულისხმოა, რომ 18-19 ოქტომბერს პოლონეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის დაკვეთით კვლევითმა ცენტრმა TNS OBOP-მა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა. სულ გამოიკითხა 18 წელს ზევით მყოფი 1510 ადამიანი. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ტუსკს - ამომრჩეველთა 50,9 პროცენტი, კაჩინსკის კი 49,1 პროცენტი უჭერს მხარს.

ვარშავის მერი ლეხ კაჩინსკი ამჟამინდელი პრეზიდენტის ხელისუფლებას აქტიურად აკრიტიკებს და მას კორუფციაში ადანაშაულებს. საგულისხმოა ისიც, რომ პარტია "უფლება და სამართლიანობა" ლეხ კაჩინსკიმ თავის ტყუპისცალ ძმასთან ერთად შექმნა. აღნიშნულმა პარტიამ, რომლის თავმჯდომარეც კაჩინსკის ძმაა, გასულ თვეში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა. ლეხ კაჩინსკი თავის პრიორიტეტად კონსერვატორულ ღირებულებათა დაცვას მიიჩნევს და, გამარჯვების შემთხვევაში, პრეზიდენტის ძალაუფლების გაზრდასთან ერთად ქვეყნისთვის ფართო სოციალური გარანტიების მიცემას გეგმავს. პოლიტიკოსის მომხრეებს, ძირითადად, ქვეყნის ღარიბი მოსახლეობა და ეკლესია წარმოადგენენ.

დონალდ ტუსკის პარტიამ "სამოქალაქო პლატფორმა" 25 სექტემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ხმათა უმრავლესობით მეორე ადგილი მოიპოვა. მემარჯვენე-ლიბერალი ქვეყანაში არსებული უმუშევრობის პრობლემისა და კორუფციის დამარცხებას კანონთა გამარტივებით, ბიუროკრატიისა და გადასახადთა შემცირების გზით აპირებს. ტუსკის მხარდამჭერი ის ხალხია, ვისთვისაც სოციალურ გარანტიებზე მნიშვნელოვანია კაპიტალიზმი (ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ფენა, სტუდენტები და დიდი ბიზნესის წარმომადგენლები).

შაბათს პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებული "წინასაარჩევნო დუმილი" გამოცხადდა. პოლონეთში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არჩევნებამდე ერთი დღით ადრე იკრძალება აგიტაციების და მიტინგების ჩატარება, ამომრჩეველთან შეხვედრების გამართვა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგთა გამოქვეყნება. აღნიშნულ დღეს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის პოლონეთში ფულადი ჯარიმაა დაწესებული - მაგალითად, პოლიტიკურ პარტიათა რეიტინგის გამოქვეყნება 500 ზლოტიდან 1 მილიონ ზლოტამდე ჯარიმდება (1 აშშ დოლარი 3,2 ზლოტას უდრის).

პოლონეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ ქვეყნის მოქალაქეებს არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდა. საგულისხმოა ისიც, რომ გასულ პარასკევს, პოლონეთის საზოგადოებრივი რადიოს ეთერის საშუალებით, კვასნევსკიმ დონალდ ტუსკისა და ლეხ კაჩინსკის კანდიდატურების თაობაზე საზოგადოებას თავისი პირადი აზრი გააცნო და უპირატესობა დონალდ ტუსკის საპრეზიდენტო პროგრამას მიანიჭა.

პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ლეხ ვალენსას სიმპათიებიც დონალდ ტუსკის მხარეს იხრება. **"დონალდ ტუსკი გაწონასწორებული ადამიანია, რომელმაც ნამდვილად იცის, როგორ უნდა მართოს ქვეყანა. მან იცის, რა სჭირდება პოლონეთს და, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, თანამიმდევრულად შეუდგება საკუთარი გეგმების განხორციელებას. კაჩინსკი მებრძოლი სულისკვეთების ადამიანია. იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე არ არსებობს, ბრძოლის გაგრძელების მიზნით, ის თავად იგონებ მას"**, - აღნიშნა მან.

## იაპონიის იმპერატორის ტახტი, შესაძლოა, ქალმა დაიკავოს

ამომავალი მზის ქვეყანაში, შესაძლოა, 2 600 წლის მანძილზე დამკვიდრებული ტრადიცია შეიცვალოს და იმპერატორის ტახტი ქალმა მმართველმა დაიკავოს. ასეთი დილემის წინაშე იაპონია მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში იმპერატორის ოჯახში მხოლოდ ქალი-მემკვიდრეები გაჩნდნენ. ტრადიციის შეცვლის აუცილებლობის შესახებ დასკვნა იმ ექსპერტთა ჯგუფმა გამოიტანა, რომელთა არაოფიციალური შეხვედრა 19 ოქტომბერს ტოკიოს ერთ-ერთ სასტუმროში შედგა.

ექსპერტთა წინადადებებზე დაყრდნობით, საგანგებო რეკომენდაციებს ათი კაცით დაკომპლექტებული კომისია მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში შეიმუშავებს და განსახილველად მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემს ქვეყნის ხელისუფლებას. იაპონიის პარლამენტი ამ საკითხის განხილვას, სავარაუდოდ, მომავალი წლის დასაწყისში შეუდგება.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციის შეცვლა მის საბოლოოდ უგულებელყოფას არ ნიშნავს. მამაკაცის ხაზით მემკვიდრეობის გადაცემა ისევ ნორმად იქცევა მას შემდეგ, რაც იმპერატორის ოჯახში კვლავ ვაჟი დაიბადება.

ექსპერტთა თქით, ასეთი დროებითი გადაწყვეტილება ერთადერთი გადაწყვეტილება იყო, რათა საიმპერატორო კვერთხი ვინმე უცხო, გარეშე პირს არ ჩავარდნოდა ხელთ.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება, რასაკვირველია, წინააღმდეგობის გარეშე არ მომხდარა. კომისიაზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებდნენ კონსერვატორები და ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ყოვლად დაუშვებელი იყო მამაკაცის ხაზით მემკვიდრეობის გადაცემის ტრადიციის შეცვლა.

საუკუნეებით გამყარებულ ტრადიციას მეოცე საუკუნეში, კერძოდ, 1947 წელს მიღებული საიმპერატორო კანონიც ამტკიცებს. ამ კანონის თანახმად, დაუშვებელია ქალი მმართველის ასვლა საიმპერატორო ტახტზე. თუმცა, როგორც ამჟამინდელი მდგომარეობა ცხადყოფს, მემკვიდრეობის ხაზის შენარჩუნების მიზნით, გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა იაპონიასაც მოუწევს.

მემკვიდრე პრინც ნარუჰიტოსა და პრინცესა მასაკოს სამი წლის ქალიშვილი შეეძინათ, რომელიც, შესაძლოა, გახდეს კიდეც იაპონიის ისტორიაში პირველი იმპერატორი-ქალი. **რიანოვოსტი**

## აშშ-სა და ისრაელს აბასის გეგმა არ მოსწონთ

პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელის მაჰმუდ აბასის ინიციატივა, კონფლიქტის მოგვარების ძირითად საკითხებზე საიდუმლო მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, მიუღებელი აღმოჩნდა ისრაელისა და აშშ-სთვის. ოფიციალურ თელავივსა და ვაშინგტონში ჩათვალეს, რომ ამ ინიციატივაზე დათანხმება პალესტინის მხრიდან იმ ვალდებულებების თავიდან არიდებას გამოიწვევდა, რასაც "საგზაო რუკის" პირველი ეტაპი ითვალისწინებს.

**"აბასი ცდილობს, რაღაც შემოვლითი გზები გამონახოს - დაგეგმილი ეტაპების გავლის ნაცვლად, საკითხის უშუალოდ განხილვაზე გადავიდეს და პირდაპირ საბოლოო სტატუსზე დაიწყოს საუბარი. ეს ჩვენთვის მიუღებელია, ისევე, როგორც ამერიკული მხარისათვის,"** - წერს ებრაული გავლენიანი გაზეთი "ჰაარეცი".

პალესტინის ავტონომიური ადმინისტრაციის საბოლოო სტატუსს რაც შეეხება, აქ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები იყრის თავს, როგორიცაა საზღვრების პრობლემა, ლტოლვილებისა და დასახლებების საკითხი.

თუ პალესტინის მხარე, პრობლემის უმოკლეს ვადებში მოგვარების მიზნით, მზადაა, დღემდე წარმოებული მოლაპარაკებების შედეგებს გვერდი აუაროს და უშუალოდ სტატუსზე დაიწყოს შეთანხმება, ისრაელის მხარე უფრო თავშეკავებულია და უშუალო დიალოგში ჩართვას ისევ "საგზაო რუკაზე" დაყრდნობას ამჯობინებს. **24 საათი**

# 21+3-1

## "Penმარათონი", "უკანასკნელი" ბესო ხვედელიძე და უფლისციხელი მოჩვენებები

ია ვეკუა

არაფერია იმაზე უფრო კომიკური და, ამავდროულად, შესაბრალისი სანახაობა, როდესაც რამდენიმესაათიანი შემოქმედებითი წვისთვის განწირულ მწერლებს მომავალი მოთხრობის თემას ატყობინებენ (ასეთ დროს გულწრფელად გიხარია, რომ მარათონის მონაწილე არ ხარ და კონკურსის მსვლელობისას შეგიძლია მხოლოდ ჟურნალისტური მოღვაწეობით დაკმაყოფილდე). ასეთი რამ მხოლოდ "Penმარათონზე" ხდება - მკაცრი იმიჯით შენიღბული ჟიურის წევრები მარათონის მონაწილეებს არცთუ მარტივი სიტყვათა შეთანხმებებითა და ქვეტექსტებით კომბინირებულ თემას უმხელენ (რომლის მოფიქრებისას თავად, ალბათ, ძალიანაც იმხიარულეს), შემდეგ კი მოსმენილისგან დაზაფრულ კონკურსანტებს მზის მეორედ ამოსვლამდე მშვიდი სახეებით ემშვიდობებიან. ასე ხდებოდა სამი წლის განმავლობაში, მაგრამ წლევანდელ "Penმარათონზე" ჟიურიმ შესაშური ლმობიერება გამოიჩინა და კონკურსანტებს თემის ნაცვლად ოთხი კონკრეტული პერსონაჟი შესთავაზა.

არადა, მეოთხე "Penმარათონი" არც საიუბილეო იყო და არც სხვა რამით გამორჩეული, უბრალოდ, ორგანიზატორებმა კონკურსისთვის ახალი შტრიხის შემატება განიზრახეს. სიახლემ აშკარად გაამართლა, რადგან წინა მარათონებისგან განსხვავებით კონკურსანტები ნაკლებად წუწუნებდნენ და, რაც მთავარია, მოთხრობების დაწერა ნებისმიერ თემაზე შეეძლოთ. მთავარი იყო, რომ მათ "თავისუფალ თემებში" ოთხი ძირითადი პერსონაჟი არ დაკარგულიყო.

პერსონაჟები ოთხი ჯგუფიდან წილისყრის მეთოდით გამოავლინეს. "Penმარათონი 2005-ის" მთავარი გმირები არიან: 14 წლის ბიჭი, 71 წლის პენსიონერი მეთევზე, 41 წლის ბერძენი, ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენელი და 55 წლის ქალბატონი, რომელიც შეთავსებით მინისტრის დედაცაა. კონკურსანტებს, საკუთარი სურვილისამებრ, ნებისმიერი სხვა პერსონაჟის დამატება შეეძლოთ, მაგრამ შემოთავაზებული ოთხეული მოთხრობაში ნებისმიერი სახით უნდა დაეფიქსირებინათ.

**სავარაუდოდ:** ფარმაცევტი ბერძნული წარმოშობის წალკელია. ჯანმრთელ კარტოფილზეა გაზრდილი და ბავშვობიდან იცოდა, რომ სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა. ამიტომ, როგორც კი მოწიფულობის ასაკს მიაღწია, ისტორიულ სამშობლოს მიაშურა, სადაც უბრალო მეაფთიაქედ დაიწყო მუშაობა, ბოლოს კი ფარმაცევტული კომპანიის მენეჯერობას მიაღწია. ერთხელ მისი კომპანიის მიერ წარმოებული წამლებისგან შეუძლოდ გამხდარი, შემდეგ კი ამის გამო სასამართლოში მომჩივანი ქალბატონის მოსანახულებლად მივიდა. ასე კი იმიტომ გაისარჯა, რომ ამ ორმოცდაათს გადაცილებული ქალბატონის შვილი საბერძნეთის კულტურის, სირტაკის შესწავლისა და ოქროს საწმისის შენარჩუნების მინისტრი იყო. იქ ერთი სანდომიანი, ამ ქალბატონის მომვლელი ქართველი გოგონა გაიცნო, რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა. ვინაიდან მინისტრის დედა თავისი ჩივილებით მის ფარმაცევტულ კომპანიას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა, შეყვარებულმა წყვილმა საქართველოში გამოქცევა გადაწყვიტა. საბოლოოდ აქამდე მშვიდობიანად ჩამოაღწიეს და მინისტრის დედის მომვლელი გოგონას ბაბუასთან, ყველაზე დიდი თევზის დაჭერის იდეით შეპყრობილ პენსიონერ, ზოგჯერ მარაზმატიკ ბაბუასთან ერთად ბედნიერი ცხოვრება დაიწყეს.

სად არის 14 წლის ბიჭი? იმ ბერძენი მინისტრის დედას ერთი ნახევრად გაქუცული, მომცრო ზომის ძაღლი ჰყავდა. ძაღლი უკვე 14 წლის იყო და ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში სახელი ვერ შეურჩია, სქესის გათვალისწინებით, უბრალოდ, ბიჭს ეძახდა. ეს ძაღლი ძალიან უყვარდა მინისტრის დედის მომვლელ ქართველ გოგონასაც. ამიტომ საქართველოში ისიც გაიტაცეს (რატომღაც ოქროს საწმისი გამახსენდა). ხოლო ვინაიდან მინისტრის დედებს მხოლოდ ჯიშიანი ცხოველები ჰყავთ, ლტოლვილ წყვილს კი ძაღლის საბუთები არ ჰქონდა, საწყალ ბიჭს ხან ჩემოდანში სვამდნენ, ხანაც ყულაბად ასაღებდნენ (ამ ლირიკულ გადახვევას ყურადღებას ნუ მიაქცევთ - ავტ.).



ამ ქვაბულებში შედევრი შეიქმნა.

* * *

"Penმარათონი" პირველად 2002 წლის მარტში, თბილისის ერთ-ერთ კლუბში ჩატარდა. მაშინდელი წესების თანახმად, კონკურსანტებს მოთხრობები 12 საათის განმავლობაში უნდა დაეწერათ და თითოეული ნაწარმოები ერთი კონკრეტული ფრაზით უნდა დაწყებულიყო ("რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა"). მომდევნო წლებში კონკურსის პირობები შედარებით გაიოლდა, რაც საწერი ვადის 24 საათამდე გაზრდაში გამოიხატა. თუმცა, სამწერლო რინგმა ჯერ ფოთის პორტის პერიმეტრზე მოცურავე გემზე, შემდეგ კი გონიოს ციხის ხავსიან კედლებში გადაინაცვლა. შესაბამისად, გართულდა თემებიც: გემზე მოხვედრილი კონკურსანტები იმაზე წერდნენ, რომ "ყველაზე უსაფრთხო ხომალდები ხმელეთზე ამოთრეული ხომალდებია", ხოლო გონიოს ციხეში "გამოკეტილები" ერთხმად "აცხადებდნენ" - "მე მინდა სახლი, რომ იქიდან გავიქცე სადმე, ერთიც მაგიდა, არაფერი რომ აღარ ვწერო". ბევრისთვის ეს ფრაზები იმდენად ბუნდოვანი და, შესაბამისად, დამაბნეველი იყო, რომ მომავალ მოთხრობაზე კი არა, ამ "გაუგებრობიდან" თავის დაღწევაზე უფრო ფიქრობდნენ. თუმცა, 24 საათის გასვლას მედგრად და, რაც მთავარია, კალმებით ხელში ელოდნენ.

თემის სტილის გარდა წლევანდელ "Penმარათონში" რამდენიმე "არითმეტიკული" სახის ცვლილებაც მოხდა. პირველ რიგში, ეს წერის ხანგრძლივობას შეეხება, რომელიც 24 საათიდან 30 საათამდე გაიზარდა (24+6). მეორე ცვლილება კი დაუგეგმავი იყო. ტრადიციისამებრ, "Penმარათონში" 26 კონკურსანტი მონაწილეობს: 23 ახალი და სამიც წინა კონკურსის გამარჯვებული. წელს ჟიურიმ მხოლოდ 21 ღირსეული შეარჩია, ხოლო შარშანდელი პრიზიორებიდან მხოლოდ პაატა ბერიკაშვილი და ბესო ხვედელიძე შეემატა. ნუგზარ შატაიძემ თავად განაცხადა უარი კონკურსში მონაწილეობაზე იმ მოსაზრებით, რომ ასპარეზს ახალგაზრდებს უთმობდა (21+3-1). თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ შატაიძემ მარადიული მეორეადგილოსნის წოდებისგან გათავისუფლება გადაწყვიტა (შეგახსენებთ, რომ 2003 და 2004 წლების კონკურსებზე მეორე ადგილი სწორედ მან დაიკავა).

მეორე მხრივ, ვინც კონკურსზე წამოსვლა ვერ მოახერხა, გარკვეულწილად, გაუმართლა კიდეც: 2005 წლის "Penმარათონი" უფლისციხეში, პრაქტიკულად, ღია ცის ქვეშ, პირდაპირი მნიშვნელობით - განსაკუთრებულ ექსტრემალურ პირობებში გაიმართა. მოგეხსენებათ, ახლა ოქტომბრის მიწურულია, ხოლო წელიწადის ეს დრო მზიურ საქართველოშიც კი სუსხიანობით ხასიათდება. პირობების თანახმად, მარათონი განსაკუთრებულ ექსტრემალურ სიტუაციაში უნდა მიმდინარეობდეს. ექსტრემი კონკურსს არასდროს აკლდა, მაგრამ წელს ორგანიზატორებმა საკუთარ თავსაც აჯობეს - უფლისციხეში ციოდა, ქარი ქროდა და დროდადრო წვიმდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამის განმავლობაში მარათონელთა სიახლოვეს ცეცხლი ენთო, სიცივემ ისეთ კულმინაციას მიაღწია, რომ ბევრისთვის ეს ცეცხლი კინაღამ მარადიულ კოცონად იქცა.

23-ის ნაცვლად ნამუშევარი მხოლოდ 22-მა კონკურსანტმა ჩააბარა. გივი ჩიღვინაძემ ჯანმრთელობის გამო უფლისციხე დროზე ადრე, ცარიელი ფურცლებით დატოვა. სამაგიეროდ იქაურობა არ ეთმობოდა ბესო ხვედელიძეს. ის წერას არც მაშინ წყვეტდა, როდესაც ხელმეორედ დაბნელდა, უფრო მეტად აცივდა და უფლისციხის გამოქვაბულებში ადგილობრივი ღამის მოჩვენებები გამოჩნდნენ (ხვედელიძეს, ალბათ, დიდხანს ემახსოვრება ისინი).

როგორც წესი, უცნობების გარდა, "Penმარათონში" უკვე შემდგარი მწერლებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც თავისუფლად შეიძლება კონკურსის ვეტერანები ვუწოდოთ. ამ მხრივ აშკარა ლიდერია პირველი გამარჯვებული გელა ჩქვანავა - იგი ოთხივე "Penმარათონზე" იღვწოდა. შემდეგ მოდიან ბესო სოლომონაშვილი, ბაჩო კვირტია, შოთა იათაშვილი, პაატა ბერიკაშვილი, ვანო შატბერაშვილი და სხვები. წელს ყველაზე მცირეწლოვანი კონკურსანტი 16 წლის ნიკუშა ანთაძე იყო, ყველაზე უფროსის ასაკს კი ეთიკური მოსაზრებების გამო არ დავასახელებთ (ხომ შეიძლება ქალბატონი აღმოჩნდეს!).

რა დაწერეს ხვედელიძემ (სამწუხაროდ, არ მაქვს მისი ნაწარმოების შესახებ უფრო დაწვრილებით საუბრის უფლება, თორემ მკითხველი აშკარად ისიამოვნებდა) და ოცმა მისნაირმა, ამას მხოლოდ 18 ნოემბერს, კინოთეატრ "ამირანში" "Penმარათონის" გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე შევიტყობთ. მანამდე კი მარათონის სამომავლო გეგმების შესახებ: არ არის გამორიცხული, რომ 2006 წლის კონკურსი საერთაშორისო მნიშვნელობის გახდეს და პირველ ეტაპზე კავკასიის რეგიონი მოიცვას. ეს კი, გარკვეულწილად, კონკურსის პირობებსაც შეცვლის, რომლის თანახმადაც კონკურსანტებმა მხოლოდ ქართულენოვანი ნაწარმოები უნდა შექმნან.

# ქართველ ბავშვებს ახალი ინგლისურენოვანი გაზეთი ექნებათ

## "კიდს თუდეი"-ს პატარა მკითხველთა იმედი აქვს

*თუ გსურთ თქვენმა შვილმა ინგლისური ენის ცოდნა გაიღრმაოს, ჰქონდეს კრიტიკული აზროვნება, ანდა აქტიურად მონაწილეობდეს ბეჭდური გამოცემის მომზადებაში, შეიძინეთ ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გაზეთი ბავშვებისთვის "კიდს თუდეი". მიუხედავად იმისა, რომ მისი პრეზენტაცია სულ ახლახან გაიმართა, სახალისო-საცნობარო პირველმა ნომერმა უკვე მოასწრო პატარა მკითხველთა გულების მოგება.*

ირმა კახურაშვილი

ჩვენს მედიასივრცეში ეს ერთადერთი საბავშვო გაზეთია. ნოვატორული პროექტის ინიციატორი საქართველოში ექვსწლიანი გამოცდილების მქონე ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გაზეთი "ჯორჯია თუდეი"-ა. "კიდს თუდეი"-ც კვირაში ერთხელ, ორშაბათობით გამოვა და ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში გავრცელდება. მის შეძენას მშობლები, მასწავლებლები და, პირველ ყოვლისა, ბავშვები წიგნის მაღაზიებში, სუპერმარკეტებსა და საგაზეთო ჯიხურებში მოახერხებენ. თორმეტგვერდიანი, მაღალპოლიგრაფიული, ფერადი გაზეთის ფასი პრაქტიკულად სიმბოლური - 1,5 ლარი იქნება. პირველი ნომერი, რომლის შექმნაზეც სპეციალისტების ჯგუფი თითქმის ექვსი თვე მუშაობდა, სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში უფასოდ გავრცელდება.

ახალი პროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ გაზეთის მიზანია დაეხმაროს საშუალო სკოლის მოსწავლეებს ინგლისური ენის ათვისებაში, მოზარდებში მკითხველის კულტურის ჩამოყალიბებაში და ჟურნალისტის პროფესიის პოპულარიზაციაში. "ჯიპას" ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სკოლის აკადემიური დირექტორის დევიდ ბლოსის განცხადებით, მსოფლიო ტენდენციის მიხედვით, მოზარდებს კითხვა არ უყვართ და მომავალში ეს ბევრ პრობლემას უქმნით. ამდენად, ინგლისურენოვანი საბავშვო გაზეთის გამოცემა ერთჯერადი აქტი არ უნდა იყოს და მის მხარდაჭერაზე უფროსმა თაობამ უნდა იზრუნოს. "მესმის, რომ ინგლისური ენა თქვენთვის მშობლიური არ არის, მაგრამ, მერწმუნეთ, რამდენიმე წლის შემდეგ ის კომპიუტერების მოხმარების საერთაშორისო ენად იქცევა და თქვენც უთუოდ გამოგადგებათ," - ასე მიმართა პრეზენტაციაზე შეკრებილ ბავშვებს დევიდ ბლოსმა და მოუწოდა ჩართულიყვნენ გაზეთის მომზადების პროცესში, თავად დაეწერათ სტატიები და გადაეღოთ ფოტოები. საინტერესოა, რომ "კიდს თუდეი"-ს თითოეულ ნომერზე ქართველი რედაქტორ-ჟურნალისტების გარდა, უცხოელი ექსპერტები და კონსულტანტებიც იმუშავებენ.



გაზეთის პრეზენტაციაზე.

პროექტის მხარდამჭერები და პარტნიორები არიან: ბრიტანეთის საბჭო საქართველო, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა, საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია, "ინგლიშ სფიქინგ იუნიონ" (ბრიტანეთი). ამჟამად სასწავლო დაწესებულებებში გაზეთის გავრცელებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე, პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტთან.

"კიდს თუდეი"-ს გამომცემელი გიორგი შარაშიძე მიიჩნევს, რომ ახალი გაზეთის დახმარებით ინგლისური ენით დაინტერესებულ ბავშვებს ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის მეტი საშუალება ეძლევათ. "საპრეზენტაციო ნომრამდე ერთი თვით ადრე საპილოტო ნომერი დაიბეჭდა და თბილისის 12 სკოლაში გავრცელდა. ბუნებრივია, მკითხველების რეაქცია გვაინტერესებდა. ძალიან გაგვიხარდა, როცა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. გაზეთმა სასწავლო პროცესი უფრო გაახალისა, განსაკუთრებული მოწონება კი თანამონაწილეობის პრინციპმა დაიმსახურა. მივმართავთ ყველა ბავშვს - გამოგვიგზავნონ მოთხრობები, ლექსები, სტატიები... მართალია, გაზეთი 6-12 წლის ასაკის მოზარდებზეა გათვლილი, მაგრამ გვაქვს ე.წ. რთული რუბრიკებიც, რომლებიც სხვა ასაკის ბავშვებსაც დააინტერესებთ," - ამბობს გიორგი შარაშიძე.

"კიდს თუდეი"-ს პრეზენტაციას, რომლის მუსიკალური გამფორმებელიც მუნიციპალიტეტის ბენდი "თბილისი" გახლდათ, უამრავი ბავშვი ესტუმრა, მათ შორის, ტელეარხ "რუსთავი-2"-ის მიერ აღმოჩენილი "ყველაზე ჭკვიანი" თორნიკე ჭუმბურიძე (მასზე სტატია "კიდს თუდეი"-ს პირველი ნომრის პირველ გვერდს ამშვენებს). თორნიკეს მიკროფონი გადასცეს და მანაც გულახდილად განაცხადა, ნამდვილად მოსალოცი ამბავია, ძალიან კარგი გაზეთია და მის წაკითხვას ყველას ვურჩევდიო. მქუხარე ტაშისა და ჭრელი კანფეტების ფოიერვერკის შემდეგ კი ყველაზე ამაღელვებელი წუთებიც დადგა - დარბაზში გაზეთის ლოგოთი გაფორმებული უზარმაზარი ტორტი შემოიტანეს და ბავშვებმაც მკითხველის სერიოზული სტატუსი დროებით დაივიწყეს...

გაზეთის კოლექტივი მიიჩნევს, რომ ახალი პროექტი წარმატებული იქნება და დაეხმარება როგორც მოზარდებს, ისე მათ მშობლებსა და პედაგოგებს. "კიდს თუდეი"-ის წარმომადგენლები მზად არიან ნებისმიერი გამოხმაურებისა და ჯანსაღი კრიტიკის მისაღებად. ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ გაზეთი ერთგულ მკითხველს შეიძენს, მომავალში კი რაც შეიძლება მეტი ბავშვისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

# ლაშა, ლაშა და ლიტერატურა

**ლაშა ბუღაძე:** დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ლიტერატურაზე სტუმართან ერთად, რომელიც მასპინძლადაც შეიძლება ჩაითვალოს. ეს არის ლაშა ბაქრაძე. ვისაუბრებთ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შესახებ და მიმოვიხილავთ ნობელის პრემიასაც ლიტერატურის დარგში, რომელიც ახლახან ინგლისელ დრამატურგს ჰაროლდ პინტერს მიენიჭა.

**ლაშა ბაქრაძე:** წელს ფრანკფურტის წიგნის მთავარ პრიზს "გერმანული წიგნის ვაჭრობის მშვიდობის პრემიას" გადასცემენ თურქ მწერალს ორჰან პამუქს. რაც შეეხება პინტერს, ის პოლიტიკურად ანგაჟირებული ავტორია და ამაში არაფერია უარყოფითი მნიშვნელობის. პინტერის პოლიტიკური შეხედულებები ცნობილი გახდა ერაყის ომთან დაკავშირებით. საერთოდ ის ანტი-ამერიკანისტული შეხედულებებით გამოირჩევა.

**ლაშა ბუღაძე:** ცნობილია მისი გამონათქვამიც დონალდ რამსფელდის შესახებ: "შეხედეთ რამსფელდს სახეზე და დარწმუნდებით, რომ ის მკვლელია".

**ლაშა ბაქრაძე:** ოღონდ, ცხადია, პინტერი ამერიკის მთავრობის წინააღმდეგია და არა ამერიკელი ხალხისა. საერთოდ, პინტერის პოლიტიზება მოხდა 1985 წელს თურქეთში მოგზაურობის შემდეგ. თურქეთში ის არტურ მილერთან ერთად ჩავიდა და 1988 წელს დაწერა პიესა "მთის საუბრები". შემდეგ ერაყის ომის ამბებშიც ჩაერია და ასე თანდათან გააქტიურდა პოლიტიკურად.

**ლაშა ბუღაძე:** პამუქიც პოლიტიზებული მწერალია.

**ლაშა ბაქრაძე:** ის ძალიან საინტერესო მწერალია და მართალი ხარ, ბოლო ხანს თურქეთში დიდ პოლიტიკურ სკანდალში გაეხვია. მიზეზი მისი ბოლო რომანია. "თოვლში" (რუსულად ჯერ არ უთარგმნიათ) მოქმედება ხდება ყარსში და თუ უცხო თვალისთვის ეს უმნიშვნელო ფაქტორია, თურქეთისთვის - პირიქით. წიგნის გერმანული პრეზენტაციის წინ შვეიცარიულ გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ პამუქთან, რომელშიც მან თქვა: თურქეთი არის ქვეყანა, რომელშიც ერთი მილიონი სომეხი მოკლეს; რომელშიც 30 ათასი ქურთი მოკლეს.

ამ ინტერვიუმ, ცხადია, დიდი აღშფოთება გამოიწვია. თურქეთში ხომ დღემდე აკრძალულია სომხების გენოციდზე საუბარი. ასევე ქურთების პრობლემების სერიოზული განხილვა ტაბუირებული თემაა. პამუქს სასამართლოში უჩივლეს. მისი ოპონენტები ფიქრობენ, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრემიასაც, რომელსაც პამუქი მიიღებს, გარკვეული პოლიტიკური ფონი აქვს.

**ლაშა ბუღაძე:** ასეთი ტიპის პრემიების დროს ყოველთვის წინა პლანზე დგება დასაჯილდოებელი ავტორების პოლიტიკური აქტიურობის ხარისხი.

**ლაშა ბაქრაძე:** არა, უბრალოდ, ჩვენთან არ მოდის ხმა. თორემ ვინ საუბრობს თუნდაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ჯილდოზე? უბრალოდ, ნობელის პრემიაა ყველაზე დიდი და ის იქცევს ყველას ყურადღებას.

პამუქი ახლა ფრანკფურტში აიღებს 25 ათას ევროს. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ არც ისე დიდი თანხაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში ყველაზე დიდია. წელს ის კიდევ უფრო გაიზარდა და 101 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრება.

**ლაშა ბუღაძე:** იქნებ ორი სიტყვით ისტორიაც მოვყვეთ.

**ლაშა ბაქრაძე:** ეს წიგნის ბაზრობა ფედერაციული გერმანიის პროდუქტია, რომელიც ომის შემდეგ შეიქმნა. მანამდე მთავარი ბაზრობა იყო ლაიპციგისა, რომელიც ერთ-ერთი უძველესია და დღემდე არსებობს, მაგრამ თავისი მონუმენტურობით ფრანკფურტის ბაზრობას ვერ შეედრება. წიგნის მოვაჭრეთა პრემიაც ომის შემდგომი პერიოდის მოვლენაა და ძალიან საპატიო პრემიად ითვლება.

**ლაშა ბუღაძე:** რაც შეეხება პამუქს, ქართულ ენაზე ის ჯერ არ არის თარგმნილი. რუსულად არსებობს მისი ორი ყველაზე ცნობილი გამოცემა: "შავი წიგნი" და "მე მქვია წითელი".

**ლაშა ბაქრაძე:** ამ წიგნმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ წლების განმავლობაში მსგავსი შთაბეჭდილება არც ერთ წიგნს არ მოუხდენია. გადაშლი თუ არა წიგნს, ნახავ სამ სხვადასხვაგვარ ციტატას და მაშინვე მიხვდები, რომ წიგნში სხვადასხვა თემაზეა საუბარი. მრავალი პერსპექტივიდან დაწერილი ტექსტია. ერთი მხრივ, არის უაღრესად საინტერესოდ გადაწყვეტილი კრიმინალური რომანი. ამავე დროს ეხება ხელოვნებასაც და ხელოვან ადამიანებსაც. არის რწმენაზეც და არის სიყვარულზეც. რაც მთავარია, არის იმის მაგალითიც, თუ როგორ განსხვავდება ევროპა და აზია ერთმანეთისგან. მოქმედება 1591 წელს სტამბულში, მინიატიურისტების გარკვეულ ჯგუფში ხდება. სწორედ ამ წრეში შემოიჭრება ევროპა. მკითხველი მხატვრობის მაგალითზე ხედავს განსხვავებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება მე-16 საუკუნეში ხდება, დგება თურქებისთვის უაღრესად საჭირბოროტო საკითხიც - ევროპაში შევედით თუ არ შევედით, ევროპა მიგვიღებს თუ არ მიგვიღებს. წიგნში ამ კითხვებზე პასუხს ვერ იპოვით, მაგრამ პრობლემა საინტერესოდ არის დანახული... მართლაც, ძალიან ძვირფასი წიგნია.

**ლაშა ბუღაძე:** კარგი იქნება, თუ ქართულად ითარგმნება ესეც და "შავი წიგნიც", რომელიც მთავრდება სრულიად ჯადოსნური სიტყვებით: "თბილისში ალბათ თოვს..." ასე მგონია, რომ პამუქის რომანებს ძალიან მოუხდება ქართული ენა.

**მკითხველი:** მეჩვენება, რომ ქართული ლიტერატურა მოწყვეტილია მსოფლიო პროცესებს. თუ ასეა, რით ახსნით ამას?

**ლაშა ბაქრაძე:** რატომღაც ქართველი ხელოვანი ყოველთვის ცდილობს, რაღაც მოიგონოს, თითიდან გამოიწოვოს იმის ნაცვლად, რომ ის დაწეროს და გადაიღოს, რაც ყველას გვაწუხებს. თუ პამუქის მაგალითს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ სრულიად შესაძლებელია, მოქმედება ხდებოდეს 1591 წელს სტამბულში და იყოს უაღრესად აქტუალური ნაწარმოები. ასეთი საჭირბოროტო თემა ჩვენთანაც მრავლადაა და ქართული ხელოვნება ამ თემებს არ ამუშავებს. ჩვენი თანამედროვე პროზა არა მხოლოდ ლოკალურია, არამედ მეორადიც, რადგან ქართველი ხშირად ცდილობს აიღოს მოდური უცხოური თემა და ამაზე წეროს. გარდა ამისა, საქართველოში ძნელია ადამიანმა იცხოვროს წერით, კინოს გადაღებით. მხატვარიც ხომ, ძირითადად, შიმშილით კვდება. ამიტომ ესეცაა პრობლემა - აქ ძალიან ძნელია იყო ხელოვანი, ფართო გაგებით. ჩვენთან არ იგრძნობა ხელშეწყობა ხელოვანების მიმართ. იმავე ფრანკფურტში ყოველ წელიწადს ხდება რომელიმე გარკვეული ქვეყნის ლიტერატურის წარდგინება. მაგალითად, 2007 წელს იქნება კატალონიური ლიტერატურა. წელს კი იყო კორეა. კორეა, რა თქმა უნდა, ძლიერი ქვეყანაა. ძლიერია მათი ლიტერატურის თარგმნის ინსტიტუტიც, რომელიც პირდაპირ აფინანსებს კორეული ტექსტების თარგმნას უცხო ენებზე. კორეის დღეებთან დაკავშირებითაც მათ ბევრი ნაწარმოები თარგმნეს. მაგალითად, მათი ყველაზე თვალსაჩინო მწერალი ქალის პაკ კონ გიის 1969 წლიდან 1994 წლამდე შექმნილი რომანის "ქვეყნის" 16 ტომიდან სამი ტომი.

თუ ოდესმე საქართველოშიც შეიქმნება ისეთი პროდუქცია (რაოდენობრივი თვალსაზრისითაც), ვთქვათ, ასი რომანი მაინც, რომლითაც მსოფლიოს დავაინტერესებთ, მაშინ შეიძლება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტუმარი საქართველო გახდეს.

**ლაშა ბუღაძე:** რაც შეეხება დიდი ლიტერატურული პრემიებით დაჯილდოებულ მწერლებს, ასეთები არ გვყავს. როცა აკაკი პარიზში ჩავიდა, მისცეს გარკვეული სახის ჯილდო, თან უთხრეს, შეიძლება ნობელის პრემიაზეც წარგადგინოთო. აკაკის უთქვამს: თქვენ მშვიდობიან ხალხს აჯილდოებთ, მე კი, რაც დამიწერია, ყველგან ხმლის ქნევა არისო. ასე რომ, პრემიებთან დაკავშირებით ჩვენ ძირითადად ლეგენდები გვაქვს. თუმცა, ნობელის პრემიის კანდიდატები იყვნენ ოთარ ჭილაძე და ჭაბუა ამირეჯიბი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირველად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გაისად წარმოდგენილი იქნება გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართული წიგნი "სანტა ესპერანსა", რომელიც ბაკურ სულაკაურმა ძალიან საინტერესოდ გამოსცა და კონცეპტუალური დატვირთვა მიანიჭა. გაისად, უკვე ასევე მაღალ დონეზე დაბეჭდილი, ის ფრანკფურტშიც გამოჩნდება. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ქართულმა წიგნმა რუსეთის გვერდის ავლით გააღწია ევროპაში.

**ლაშა ბაქრაძე:** თუმცა, ეს ცალკეული შემთხვევაა. ჯერჯერობით საქართველოში ღირსეული მხატვრული ტექსტების საექსპორტო მასა არ არსებობს. მხოლოდ შეიძლება, აკა მორჩილაძის მსგავსად, თითოოროოლა მწერალი გავიდეს საზღვრებს გარეთ. ეს არის და ეს. გულახდილად გითხრათ, არც კი ვიცი, მოიძებნება თუ არა 20-30 ისეთი მოთხრობა, რომელიც შთაბეჭდილებას მოახდენს უცხოელ მკითხველზე...

არის თარგმნის პრობლემაც. ჩვენ არ გვყავს მთარგმნელები დიდ ენებზე. თუ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ დავაფინანსოთ თარგმანი, იმას მაინც უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ქართულ ენას სწავლობდნენ უცხოელები. ამისთვის კი ძალიან კარგი კერაა უნივერსიტეტი.

# მირცხულავას საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგში ახალი მასალები გაიგზავნა

*საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა, მისი ოჯახის წევრები და ადვოკატები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იმედით უყურებენ და მიაჩნიათ, რომ საქართველოში მომხდარ უკანონობას სწორედ ევროპაში დაუსვამენ წერტილს.*



ქართული მართლმსაჯულებით უკმაყოფილო მირცხულავასა და მის ადვოკატს ევროპელი მოსამართლეების იმედი აქვთ.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სტრასბურგის სასამართლოში, სადაც დავით მირცხულავას სარჩელი, უკვე კარგა ხანია, შესულია, ამ საქმის ირგვლივ ჯერ კიდევ დამატებით ინფორმაციას აგროვებენ. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, დავით მირცხულავას საქმესთან დაკავშირებით ადვოკატმა ეკა ბესელიამ სტრასბურგის სასამართლოში კიდევ ერთხელ გააგზავნა დამატებითი დოკუმენტაცია. როგორ ბესელიამ განაცხადა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მოსარჩელისგან ითხოვდა ინფორმაციას ციხის სამკურნალო დაწესებულებაში არსებული მდგომარეობასთან დაკავშირებით, სადაც ამჟამად მირცხულავა იმყოფება.

ადვოკატის განმარტებით, სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია მირცხულავას პატიმრობის კანონიერების საკითხის განხილვისთვის სჭირდება.

**„ჩემთვის მოულოდნელად, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა არ დამალა ეს მეტად „შთამბეჭდავი" მონაცემები და მოგვაწოდა რეალური ინფორმაცია პატიმართა კვებისა და ჯანდაცვისათვის გამოყოფილი სახსრების შესახებ. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ პატიმრის კვებაზე - დღეში 0.77 თეთრი, ხოლო მკურნალობაზე 0.42 თეთრი იხარჯება. საავადმყოფოში მყოფ 265 ავადმყოფს კი სხვადასხვა სპეციალიზაციის თითო ექიმი მკურნალობს“**, - აღნიშნა ეკა ბესელიამ.

მისივე ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა სასამართლო მირცხულავას პატიმრობის კანონიერების საკითხს უახლოეს დღეებში განიხილავს.

შეგახსენებთ, დავით მირცხულავა 2004 წლის იანვარში დააკავეს და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებისთვის მიმდინარე წელს, მარტში 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის თანახმად, მირცხულავამ სახელმწიფო 6 მლნ ლარით აზარალა. ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა სტრასბურგის სასამართლოში, უკანონო დაკავების მოტივით, საქართველოს წინააღმდეგ საჩივარი 2004 წლის თებერვალში შეიტანა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რუსი ვიცე-პოლკოვნიკის გათავისუფლებას განმარტებები არ მოჰყოლია

*ქართველმა სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი რომან ბოიკო, რომელიც ორი დღის წინ გორში, ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით, დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბოიკოს გათავისუფლებაზე რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები სატელეფონო საუბრისას შეთანხმდნენ.*

დაკავებული რუსი პოლკოვნიკის გაათავისუფლების თაობაზე ინფორმაცია საქართველოში რუსეთის საელჩოს პრეს-ატაშემ ევგენი ივანოვმა გაავრცელა.

**„რუსული მხარის მიერ გატარებული ზომების შედეგად გათავისუფლდა რუსი სამხედრო დამკვირვებელი. ამას წინ უძღოდა რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების სატელეფონო საუბარი“,** - განაცხადა ივანოვმა.

ქართველ სამართალდამცავებს კი რომან ბოიკოს გათავისუფლების თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სიტუაცია კი ორი დღის მანძილზე ასე ვითარდებოდა: 21 ოქტომბერს გორში ქართველმა სამართალდამცველებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის რუსული ბატალიონის სამხედრო დამკვირვებელი რომან ბოიკო დააკავეს. ქართველი სამართალდამცველების მტკიცებით, იგი ეჭვმიტანილია ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობაში. თუმცა, ოფიციალურ წყაროს არ დაუზუსტებია, კონკრეტულად, რომელ საქმეს უკავშირდებოდა რუსი დამკვირვებლის სახელი. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებდნენ, დაკავებული რუსი ოფიცერი მხოლოდ და მხოლოდ მოწმის სახით დაიკითხა. სხვათა შორის, ვიცე-პოლკოვნიკის დაკავებისთანავე სამინისტროში არ გამორიცხავდნენ იმასაც, რომ 48 საათის შემდეგ შესაძლებელი იყო რომან ბოიკო გაეთავისუფლებინათ. ამავე დროს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებდნენ, რომ რომან ბოიკოს დაკავების მიზეზებზე ოფიციალური ინფორმაცია მისი დაკავებიდან 48 საათში გახდებოდა ცნობილი. დაკავებული ვიცე-პოლკოვნიკი რომან ბოიკო გუშინწინვე თბილისში რუსეთის კონსულმა მოინახულა.

აღნიშნულმა ფაქტმა რუსული ოფიცალური პირების აღშფოთება გამოიწვია, რასაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს ელჩის ირაკლი ჩუბინიშვილის დაბარება მოჰყვა. რუსული მხარე კატეგორიულად მოითხოვდა ბოიკოს დაუყოვნებლივ და უპირობო გათავისუფლებას.

**„წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგებზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დაეკისრება. მოსკოვი ამ უპრეცედენტო ნაბიჯს აღიქვამს, როგორც მორიგ დაგეგმილ პროვოკაციას, რაც რუსი სამშვიდობოების დისკრედიტაციისკენაა მიმართული. ეს, აგრეთვე, ხელს უწყობს სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გამწვავებასა და რუსულ-ქართული ურთიერთობების შემდგომ გაუარესებას“**, - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

თავის მხრივ, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ რომან ბოიკოს დაკავების კონკრეტული მიზეზების შესახებ არაფერი იცის.

**„ჩვენს სტრუქტურას ამ საქმის გამოძიება არ ევალება“**, - აცხადებდა ხაინდრავა. მისივე თქმით, იგი ესაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც განუცხადა, რომ რომან ბოიკო მძიმე დანაშაულებშია ეჭვმიტანილი.

**„სამწუხაროდ, სხვა რამის გარკვევა ვერ შევძელით და არ მაქვს დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ დანაშაულებს გულისხმობს შინაგან საქმეთა სამინისტრო“**, - რუსი სამხედროს გათავისუფლებამდე ასეთ კომენტარს აკეთებდა გიორგი ხაინდრავა და იმედოვნებდა, რომ რეალურ ფაქტებს და ინფორმაციას მას ორშაბათამდე ანუ მოსკოვში, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის დაწყებამდე მიაწვდიდნენ. თუმცა, რუსი დამკვირვებლის დაკავების გამო, დაძაბული სიტუაცია მოსკოვის შეხვედრამდე ისე განიმუხტა, რომ მომხდარისთვის შესაბამისი განმარტებები ქართულ მხარეს საჯაროდ ჯერ არ გაუკეთებია.

რომან ბოიკო ამჟამად თბილისში, რუსეთის საელჩოს შენობაში იმყოფება და უახლოეს ხანებში სამხედრო სამსახურის ადგილზე გაემგზავრება.

*24 საათი*

# სისხლიანი სპეცოპერაციები დასავლეთ საქართველოში

პირველი გვერდიდან

გერგაიას თქმით, ამჟამად მესტიის რაიონში სიტუაცია სტაბილურია და ამ დანაშაულებრივი დაჯგუფების დაკავების შემდეგ სვანეთში შეიარაღებულ პირთა თარეში მოსალოდნელი არ იქნება.

მესტიის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაჭრილი სპეცდანიშნულების რაზმის წევრები მიხეილ ბიშინაშვილი, მიხეილ მაისურაძე და, ასევე, დაჭრილი ეჭვმიტანილი სასწრაფო ოპერაციისთვის ვერტმფრენით თბილისში, ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. როგორც კლინიკის ექიმმა თეიმურაზ მგელიაშვილმა განაცხადა, ორივე პოლიციელს ჭრილობები ქვედა კიდურებში აქვს მიყენებული, თუმცა მიხეილ ბიძინაშვილის მდგომარეობა კრიტიკულია.

კიდევ უფრო მძიმე შედეგით დასრულდა პოლიციელების და დამნაშავეების დაპირისპირება სამტრედიაში - გუშინწინ სამტრედიის რაიონში სამართალდამცველებსა და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილებს შორის მომხდარ შეტაკებას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. შეტაკება სოფელ კულაშში მოხდა, როცა პოლიციამ პატრულირებისას რამდენიმე საეჭვო პირი შეამჩნია. სამართალდამცველთა ვარაუდით, ისინი ერთ-ერთი ოჯახის გაძარცვას გეგმავდნენ. ორმხრივ სროლას ემსხვერპლა პოლიციის თანამშრომელი, 28 წლის დავით კვანტალიანი. მოკლულია ერთ-ერთი ყაჩაღიც. ორმა ეჭვმიტანილმა კი გაქცევა მოახერხა. ისინი ამჟამად იძებნებიან. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მასრები. გუშინწინვე, გვიან ღამით სოფელ კულაშში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილიც ჩავიდა, რომელმაც სამძიმარი გამოუცხადა გარდაცვლილი სამართალდამცველის ოჯახს.

**„ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ყაჩაღებმა, რომლებმაც ეს პოლიციელი სასიკვდილოდ გაიმეტეს, პასუხი აგონ კანონის წინაშე“**, - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

გუშინწინდელი დღის შემდეგ სამტრედიის რაიონში ყველა გასასვლელი მკაცრად კონტროლდება. სამართალდამცველები ყაჩაღური დაჯგუფების იმ წევრებს ეძებენ, რომლებიც სავარაუდოდ, სამტრედიის რაიონის სოფელ მიწაბოგირაში არიან მიმალულები. სამძებრო ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა. იგი რაიონში გუშინ, დილით გამთენიისას ჩავიდა. იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სპეცდანაყოფი და სამტრედიის პოლიციის მთლიანი შემადგენლობა საგანგებო რეჟიმშია გადაყვანილი.

*24 საათი*

## მოკლედ

### ამერიკელი სამხედროები დებოშისთვის დააკავეს



ინტერპრესნიუსი

ორი უცხოელი სამხედრო პირი - სავარაუდოდ, "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების" პროგრამის მონაწილენი, წუხელ, გვიან ღამით თბილისში, სასტუმრო "ვარაზთან" საპატრულო პოლიციამ დააკავა. როგორც სასტუმროს დაცვის წევრი აცხადებს, დაკავებული იყო მხოლოდ ერთი უცხოელი, რომელიც "ვარაზში" არ ცხოვრობს, იმ ღამეს კი ნასვამ მდგომარეობაში შევარდა ვესტიბულში, განაცხადა, რომ მას მისდევდნენ და შემდეგ ჩხუბი ატეხა.

ამ ინციდენტს შეესწრო "ინტერპრესნიუსის" კორესპოდენტი, რომელმაც დაინახა, რომ ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ორი უცხოელი დააკავეს, მანქანებში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

გუშინ "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის" პრესატაშემ ჯონათან მურმა დაადასტურა ღამით, სასტუმრო "ვარაზთან" მომხდარ ინციდენტში ამერიკელი სამხედროების მონაწილეობა. მისი განაცხადებით, "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის" ხელმძღვანელობა მომხდარი ინციდენტის დეტალებს იკვლევს და ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებასაც გააკეთებს. ჩვენი ინფორმაციით, უცხოელები უკვე გათავისუფლებულები არიან. **ინტერპრესნიუსი**

### მებაჟეების ადვოკატები სამართალდამცველების ინფორმაციას კორექტირებას უკეთებენ

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე გუშინწინ დაკავებული მებაჟეების ადვოკატების განცხადებით, მებაჟეები დანაშაულის ჩადენის მომენტში თანამდებობიდან უკვე ოფიციალურად გათავისუფლებულები იყვნენ, ამიტომ საჯარო მოსამსახურის ვალდებულება მოხსნილი უნდა ჰქონდეთ. გარდა ამისა, როგორც ადვოკატმა მიხეილ ჩავლეიშვილმა განაცხადა, თანხა, რომელიც დანომრილი იყო, არა 12 ათასი, არამედ 1 500 დოლარია. ასეთ განცხადებებს ადვოკატები მებაჟეების ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებენ. მებაჟეების თქმით, მათთვის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია ცნობილი იყო, თუმცა, როგორც თავად აცხადებენ, მათ უთხრეს, რომ ამის მიუხედავად, მუშაობა უნდა გაეგრძელებინათ. მებაჟეების განმარტებით, ისინი უფროსისგან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სიტყვიერ შეტყობინებასაც ელოდნენ.

დაკავებული მებაჟეები თბილისში გუშინ დილით გადმოიყვანეს და, სავარაუდოდ, ბრალიც წაუყენეს. მათ წინააღმდეგ საქმე ქრთამის აღების მუხლით არის აღძრული. სამართალდამცველების ინფორმაციით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია 12 000 ათასი ლარის ოდენობის თანხა სხვადასხვა ვალუტით, რომელიც ქიმიური ხსნარით იყო დამუშავებული.

როგორც ცნობილია, პარასკევს სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს - რეგიონული საბაჟო "დასავლეთის" ხელმძღვანელი ჯონი ბაბილოძე, ამავე საბაჟოს თანამშრომლები ამირან ტალიკაძე, ზვიად ვარშალომიძე და გოჩა მიქელიშვილი. არსებული ინფორმაციით, მათ ატესტაცია არ ჰქონდათ გავლილი, რის გამოც, საბაჟოზე მუშაობის უფლებამოსილება არ გააჩნდათ. მოგვიანებით სამართალდამცველებმა რეგიონული საბაჟო "დასავლეთის" განყოფილების უფროსი როლანდ თავაძეც დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

### მოსამართლეების და ჟურნალისტების ურთიერთობას ბაკურიანში ეყრება საფუძველი

ბაკურიანში გამართულ სემინარზე საქართველოს სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა ინსტიტუტის ჩამოყალიბების საკითხებთან დაკავშირებით იმსჯელეს.

ღონისძიების ორგანიზატორები საქართველოს უზენაესი სასამართლო, ამერიკის იურისტთა ასოციაცია და USAID გახლდნენ. სემინარში მონაწილეობდნენ უზენაესი სასამართლოს, თბილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოების, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები, ჟურნალისტები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამართლის ექსპერტები. შეხვედრაზე სასამართლოსა და მასმედიას შორის კომუნიკაციის ჩამოყალიბების მოდელზე, ინფორმაციის გავრცელების გზებზე და სხვა პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს. როგორც ღონისძიებაზე განმარტეს, დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს სასამართლო სისტემაში ე.წ. მოსამართლე-სპიკერის ინსტიტუტი უნდა შეიქმნას, რომელიც, კანონის ფარგლებში და თავისი უფლებამოსილების ჩარჩოებში, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს პოზიციას დააფიქსირებს.

სემინარის სამუშაო შეხვედრის ფორმატი თეორიულ საკითხებთან ერთად პრქტიკულ ნაწილსაც მოიცავდა.

სემინარზე ჟურნალისტებისა და მოსამართლეების ერთობლივი მუშაობის შედეგად ის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბდა, რომელზეც მოსამართლე-სპიკერის ინსტიტუტის შესახებ პროექტის შექმნის დროს იმსჯელებენ. **24 საათი**

### იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ერთთვიანი ტრენინგი გაიხსნა

იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომელთათვის იუსტიციის სასწავლო ცენტრში დღეს ერთთვიან ტრენინგი გაიხსნა. სასწავლო ცენტრის დირექტორის, სულხან გამყრელიძის ინფორმაციით, სემინარზე მსმენელები კვალიფიკაციას აიმაღლებენ სამართლის ისეთ სფეროებში, როგორიცაა: საერთაშორისო კერძო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საბაჟო და საგადასახადო სამართალი, საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ურთიერთდახმარება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი.

სემინარზე მომხსენებლები არიან სამართლის ექსპერტები: ნინო გვენეტაძე, მაია კოპალეიშვილი, ვახტანგ ზაალიშვილი, ირინა ქურდაძე, ზაურ ამილახვარი, ბექა ჩხეიძე და სხვები. ტრეინინგი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში აღრიცხვაზე აყვანილია 671 არასრულწლოვანი, მათგან 80 - 14 წლამდე ასაკისაა, 124 - 14-15 წლამდე, 467 მოზარდი კი - 15-17 წლამდე. აღრიცხვაზე მყოფთაგან ნარკოტიკების მომხმარებელია 18 არასრულწლოვანი, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, არასრულწლოვანთა შორის ნარკოტიკული ნივთიერებათა მომხმარებელი გაცილებით მეტია. ლოთად მიჩნეულია ექვსი მოზარდი, პროსტიტუციაში მხილებულია ექვსი გოგონა, დანაშაულის ჩამდენად ოფიციალურად დასახელებულია 18, ხოლო 228 არასრულწლოვანი აღრიცხულია წვრილმანი ხულიგნობისთვის. აღრიცხულთა შორის 630 ვაჟია და 41 გოგონა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ზუგდიდში დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების შენახვასა და რეალიზაციაში ეჭვმიტანილი კახა ნარსია, რომელსაც დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი" ალმოუჩინეს.

დაკავებულმა, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერება რუსეთიდან აფხაზეთის ტერიტორიის გავლით შემოიტანა. პოლიციის განცხადებით, კახა ნარსია ნარკოტიკების შენახვასა და რეალიზაციაში ადრეც იყო შემჩნეული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილის საამანათოში 22 წლის ნიკოლოზ ჭ.-ძე დააკავეს, რომლის მიერ პატიმართან მიტანილ ამანათში ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" ალმოჩნდა. დაკავებულის განმარტებით, მას საპყრობილეში ამანათის ჩაბარება 19 წლის სპარტაკ ტ.-ძემ სთხოვა, იმ მოტივით, რომ თავად პირადობის მოწმობა არ ჰქონდა. ამ ფაქტის დადასტურების შემდეგ ნიკოლოზ ჭ.-ძე გაათავისუფლეს, ხოლო სპარტაკ ტ.-ძე დააკავეს. "ჰეროინი" სიგარეტის კოლოფში, სიგარეტის ერთ ღერში იყო დამალული. ამანათი პატიმარ ისლამ დ.-ისთვის იყო განკუთვნილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** პატიმართა შეწყალების კომისიამ 70 პატიმრის საქმე განიხილა და ხელმოსაწერად პრეზიდენტს გაუგზავნა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი, სავარაუდოდ, 43 პატიმარს შეიწყალებს. შეწყალებულთაგან 33 პატიმარი სასჯელაღსრულების ადგილს საერთოდ დატოვებს, 10-ს კი სასჯელის ფორმა შეუმსუბუქდება ან საპატიმრო ვადა გაუნახევრდება. შეწყალებულთაგან ორი ქალია, ერთი კი - არასრულწლოვანი. ელენე თევდორაძის ინფორმაციით, 2005 წელს 350 პატიმარია შეწყალებული. **ჯი-ეიჩ-ენი**


**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0111 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ფეხბურთი

# დუალისტური მმართველობა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-10 ტურის მთავარი შედეგი ის გახლავთ, რომ სატურნირო ცხრილში დუალისტური მმართველობა დამყარდა. ორმა გუნდმა - თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" და ბოლნისის "სიონმა" 25-25 ქულა დააგროვა და ცხრილის პირველ-მეორე საფეხურს ინაწილებენ. პირველ პოზიციაზე მაინც "ვიტ ჯორჯიაა" - ვეტერინარებს ბოლნისელებთან შედარებით გატანილ-გაშვებული ბურთების ბალანსი უკეთესი აქვთ.

ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ადგილობრივმა "ლოკომოტივმა" "ზესტაფონს" უმასპინძლა. რკინიგზელები მეტოქეს ერთპიროვნული ლიდერის რანგში დახვდნენ და გამარჯვებაზე, შესაბამისად, ლიდერობის შენარჩუნებაზე ფიქრის საკმაო საფუძველი ჰქონდათ. ჯერ ერთი, "ლოკომოტივი" ამ სეზონში დამაჯერებლად და სტაბილურად თამაშობს. ამას გარდა, "ზესტაფონიდან" თემურ მახარაძის წასვლის შემდეგ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია საქართველოში, ზესტაფონელები საშინლად თამაშობენ. ამის დასტურად წინა მატჩის შედეგიც კმარა, რომელშიც "ზესტაფონი" 0:4 დამარცხდა საკუთარ მოედანზე. ახალმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა ეს მარცხი მახარაძეს გადააბრალა - არაფერ შუაში ვარ, გუნდი მე არ მომიმზადებიაო. ცნობისთვის: ამ გუნდით, რომლის მომზადებაში მახარაძეს მართლაც მხოლოდ ხელს უშლიდნენ, ქართულ რეალობაში ამ ყველაზე წარმატებულმა და შედეგიანმა მწვრთნელმა თბილისის "დინამოც" დაამარცხა. ხოლო შარშან მახარაძემ გასავარდნად განწირული "ზესტაფონი" ჩაიბარა და კინაღამ საპრიზო სამეულში შეიყვანა, ამასთან, თასის ფინალიც ათამაშა. თუმცა, თავი დავანებოთ მახარაძეს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თავისი შესაძლებლობების გამოსამჟღავნებელ ასპარეზს მალე იპოვის.



"ლოკომოტივი" "ზესტაფონის" მატჩი უგოლო ფრით აღინიშნა.

ვაკეში გამართულმა თამაშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად დააკლდა "ზესტაფონს" თემურ მახარაძე. ზესტაფონელებს პრაქტიკულად ერთი საგოლე მომენტიც კი არ შეუქმნიათ. სამაგიეროდ მათ კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. "ლოკომოტივმა", სულ ცოტა, ექვსი ნაღდი საგოლე შანსი დაკარგა. ამას გარდა, ორჯერ კარის ძელმა მოიგერია ბურთი. "ზესტაფონი" მხოლოდ ფორტუნას კეთილგანწყობას უნდა უმადლოდეს, რომ საკუთარი კარი "მშრალად" შეინახა და დაუმსახურებელი ქულა ჩაიჩხრიალა სატურნირო ყულაბაში. "ლოკომოტივს" და მის გულშემატკივრებს კი მართლაც აქვთ ბედთან დამდურების საბაბი: თამაშის მიხედვით მასპინძლები დამაჯერებელი ანგარიშით გამარჯვებას იმსახურებდნენ, მაგრამ მხოლოდ ქულას გამორჩნენ, რაც ამ გუნდს სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურად დაუჯდა.

"ვიტ ჯორჯიას" და "სიონს" მე-10 ტურში არანაირი პრობლემა არ შეჰქმნიათ. ორივე გუნდმა თავისი ქომაგი შედეგიანი თამაშით გაახარა. "სიონმა" დებიუტანტ "ცხინვალს" უმასპინძლა და 6:1 გაიმარჯვა.

"ვიტ ჯორჯიამაც" დიდი ანგარიშით - 4:1 გაიმარჯვა. ეს წარმატება მით უფრო აღსანიშნავია, რომ მიღწეულია გასვლით მატჩში. წინა, "ზესტაფონთან" შეხვედრისა არ იყოს, რომელზეც უკვე გესაუბრეთ, ვეტერინარებმა ამჯერადაც ოთხი გოლი გაიტანეს "სპარტაკის" კარში. "დუბლით" თავი გამოიჩინა მარცვალაძემ, რომლის შედეგიანობა ნამდვილად შთამბეჭდავია. მან "ზესტაფონს" სამი გოლი გაუტანა. იმედია, ამჯერად მაინც მის მიმართ ინტერესს გამოიჩენს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა.

პრინციპული მატჩი გაიმართა ქუთაისში. "ტორპედომ" თბილისის "დინამოს" უმასპინძლა. ეროვნულ ჩემპიონატში ამ გუნდების დაპირისპირება, რომელიც ყოველთვის უშეღავათოდ და თავდაუზოგავად მიმდინარეობს, ცალკე დიდი თემაა. თუმცა, ამჯერად "დინამოს" და "ტორპედოს" სრულიად განსხვავებული მიზნები აქვთ: "დინამო" ჩემპიონობისთვის იბრძვის, "ტორპედო" კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობს. გაცილებით უფრო მაღალი კლასისა და გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა "დინამომ" უპრობლემოდ შეძლო გამარჯვება. ანგარიში ყოფილმა ტორპედოელმა მეგრელაძემ მე-17 წუთზე გახსნა, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ჩირიკაშვილმა კიდევ ერთხელ შეარხია მასპინძელთა კარის ბადე და თავის გუნდს სოლიდური ანგარიშით გამარჯვება გაუფორმა.

სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია ყოფილი პირველლიგური "დერბი", რომელშიც თბილისის "ამერმა" "ბორჯომს" უმასპინძლა. ამ გუნდებმა წელს მოიპოვეს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება, თუმცა, ამის მიუხედავად, საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან. შეგახსენებთ, რომ "ბორჯომმა" სამი ტურის წინ თვით თბილისის "დინამო" დაამარცხა, თანაც, მისსავე მოედანზე.

მატჩი დაძაბული გამოდგა და თითქოს უგოლო ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, რომ არა მეორე ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე "ამერის" თავდამსხმელის, სულიკო დავითაშვილის მიერ გატანილი ერთადერთი და მასპინძელთათვის სამი ქულის მომტანი გოლი. ამ გამარჯვების წყალობით "ამერმა" "ბორჯომს" მე-6 პოზიცია მე-5-ზე "გადაუცვალა.

**მე-10 ტური**

| | |
|---|---|
| **ამერი - ბორჯომი** | **1:0** |
| **დილა - თბილისი** | **3:0** |
| **დინამო (ბთ) - კახეთი** | **1:0** |
| **კოლხეთი - დინამო (სხ)** | **4:0** |
| **ტორპედო - დინამო (თბ)** | **0:2** |
| **ლოკომოტივი - ზესტაფონი** | **0:0** |
| **სიონი - ცხინვალი** | **6:1** |
| **სპარტაკი - ვიტ ჯორჯია** | **1:4** |

**მდგომარეობა 10 ტურის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 10 | 8 | 1 | 1 | 23-6 | 25 |
| სიონი | 10 | 8 | 1 | 1 | 21-8 | 25 |
| ლოკომოტივი | 10 | 7 | 3 | 0 | 15-2 | 24 |
| ბორჯომი | 10 | 7 | 0 | 3 | 18-9 | 21 |
| დინამო (თბ) | 10 | 6 | 1 | 3 | 15-6 | 19 |
| ამერი | 10 | 6 | 1 | 3 | 9-7 | 19 |
| დინამო (ბთ) | 10 | 5 | 1 | 4 | 7-6 | 16 |
| კოლხეთი | 10 | 5 | 0 | 5 | 9-9 | 15 |
| დილა | 10 | 5 | 0 | 5 | 15-10 | 15 |
| ზესტაფონი | 10 | 4 | 2 | 4 | 6-9 | 14 |
| კახეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 9-14 | 12 |
| ცხინვალი | 10 | 3 | 0 | 7 | 7-18 | 9 |
| ტორპედო | 10 | 2 | 2 | 6 | 6-11 | 8 |
| დინამო (სხ) | 10 | 2 | 1 | 7 | 9-24 | 7 |
| სპარტაკი | 10 | 1 | 1 | 8 | 2-14 | 4 |
| თბილისი | 10 | 0 | 0 | 10 | 2-20 | 0 |

# ვუდგეიტი დაბრუნდა

ჯონათან ვუდგეიტის მადრიდული კარიერის პირველი ეტაპი უაღრესად წარუმატებელი გამოდგა. ასეთი წარუმატებლობა ფსიქოლოგიურად ნებისმიერ ფეხბურთელს გატეხდა. თუმცა, მცველი არ კარგავდა ოპტიმიზმსა და მოტივაციას, რამაც მას საშუალება მისცა გადაელახა კრიტიკული პერიოდი. შედეგად, ვუდგეიტი "ბერნაბეუზე" გაშინაურდა და მაყურებელმა ის თავისიანად მიიღო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა ნორვეგიის "რუსენბორგის" კარში. "ემოციები მომეძალა", - მატჩის შემდეგ განაცხადა ფეხბურთელმა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ინგლისელი მცველი დიდხანს ცდილობდა მადრიდში აღიარებისთვის მიეღწია.

2004 წლის ივნისში ჯონათან ვუდგეიტი სამეფო კლუბმა ინგლისის "ნიუკასლისგან" 22 მილიონ ევროდ შეიძინა. მაშინ გულღია და გულწრფელი ვუდგეიტი ვერც კი ხვდებოდა, როგორი გამოცდა ელოდა ესპანეთის დედაქალაქში. ოდესღაც მადრიდის "რეალის" ყოფილმა ფეხბურთელმა ივან კამპომ თქვა: "ერთია უბრალოდ ცენტრალური მცველი იყო და სულ სხვა საქმეა, როცა ამ პოზიციაზე მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში თამაშობ". 25 წლის ინგლისელმა ერთ-ერთი ყველაზე უმადური თანამდებობა მიიღო პრიმერა დივიზიონში. მან იცოდა, რომ ამიერიდან ესპანეთის ყველაზე მომთხოვნი გულშემატკივარი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა მის ყოველ არასწორ მოძრაობას.

თუმცა, ვუდგეიტის შემთხვევაში "რეალის" ფანებს მოცდა მიუხდათ, ვიდრე პირველ ვერდიქტს გამოუტანდნენ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს. სადებიუტო სეზონში ვუდგეიტი ბარძაყის დაზიანებულ კუნთს მკურნალობდა, რის გამოც მთელი სეზონი გაუცდა. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში მან ესპანური ენა შეისწავლა და შეეძლო თავისუფლად ესაუბრა თანაკლუბელებთან. 22 სექტემბერს მან, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში ბილბაოს "ატლეტიკის" წინააღმდეგ თამაში, მაგრამ ის მატჩი ინგლისის ნაკრების ფეხბურთელისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა.



ვუდგეიტი მადრიდს გაუშინაურდა.

24-ე წუთზე მან ხოსება ეჩებერიას დარტყმის შემდეგ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. თუმცა, ინგლისელის უბედურება ამით არ ამოწურულა. 66-ე წუთზე ვუდგეიტმა მეორე გაფრთხილება მიიღო და იძულებული გახდა მინდორი დაეტოვებინა. სამეფო კლუბის გულშემატკივარმა გადაწყვიტა მხარი დაეჭირა ფეხბურთელისთვის და 70 ათასი ადამიანი გაძევებულ ჯონათან ვუდგეიტს მინდვრიდან ტაშით აცილებდა. რა თქმა უნდა, ვუდგეიტს თავის კლუბში სადებიუტო მატჩი არ გამოუვიდა, მაგრამ მადრიდელი გულშემატკივარი სიამოვნებით ადევნებდა თვალს იმას, თუ როგორ იგებდა ინგლისელი ერთიმეორის მიყოლებით საჰაერო დუელებს. მადრიდელებს ხომ დიდი ხანია სწორედ ამ კომპონენტში სჭირდებოდათ გაძლიერება.

ვუდგეიტი მომავალ მატჩში "სარაგოსას" წინააღმდეგ გამოვიდა მინდორზე. მატჩი ამხანაგური იყო და ფეხბურთელმა თავის ანგარიშზე კვლავ მიითვალა ავტოგოლი. თუმცა, მადრიდელი გულშემატკივარი ამ შემთხვევასაც მოთმინებით შეხვდა. სამეფო კლუბის ფეხბურთელებმა და გულშემატკივრებმა საოცარი ირონიით მიიღეს ვუდგეიტის წარუმატებლობა და აღნიშნეს, რომ ის უაღრესად ნიჭიერი ფეხბურთელია.

"რეალის" გულშემატკივარი ინგლისელს "სასიამოვნო ტიპს" უწოდებს და დიდად აფასებს იმას, რომ მან ერთწლიანი შესვენების შემდეგ მოახერხა მწყობრში ჩადგომა. ახლა კი ჯონათან ვუდგეიტი "ინჩასას" საყვარელი ფეხბურთელი გახდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ზუსტი დარტყმით მნიშვნელოვანი გოლი გაუტანა ნორვეგიის "რუსენბორგს". ინგლისელმა გოლის გატანისთანავე მიირბინა სათადარიგოთა სკამთან და გუნდის ექიმს ალფონსო დელ კორალს გადაეხვია.

"მხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, საჭირო კარში გავიტანე საჭირო გოლი, - განაცხადა ჯონათან ვუდგეიტმა, - ბოლო დროს ბევრი რამ გადავიტანე. "რეალის" შემადგენლობაში პირველ მატჩებში არცთუ ისე კარგად ვითამაშე. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან სიტუაციას გამოვასწორებ. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, გოლი უნდა გამეტანა. უბრალოდ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი. მეორე სართულზე თამაშს რეგულარულად ვხვეწ, თუმცა, ეს ყველაფერი დაცვით თამაშს ეხება. მეორე მხრივ, როცა დევიდ ბექჰემი ასეთ გადაცემას აკეთებს, შეცდომის დაშვება, უბრალოდ, წარმოუდგენელია".

მადრიდის "რეალის" მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო, რობერტო კარლოსი და ივან ელგერა ბოლო დროს სახალხოდ უჭერდნენ მხარს ჯონათან ვუდგეიტს. ინგლისელმაც სწრაფად გაამართლა მწვრთნელისა და თანაგუნდელთა იმედები. "ძალიან სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ისინი ჩემს შესაძლებლობებს აფასებენ. მე ხომ სინამდვილეში არცთუ ისე ურიგო მოთამაშე ვარ, - განაცხადა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა, - მინდორზე დიდი ხნის განმავლობაში არ ვჩნდებოდი. იმედი მაქვს, ახლა უფრო ხშირად შევძლებ თამაშს. ელგერა შესანიშნავი ფეხბურთელი და გონებამახვილი ადამიანია, რომელმაც ძალიან შემიწყო ხელი, მადრიდის "რეალში" დავმკვიდრებულიყავი. სხვა ფეხბურთელებიც მეგობრულად არიან განწყობილნი ჩემს მიმართ და ესეც ძალიან მახარებს".

ჩვეულებრივ, მადრიდის "რეალის" ფორვარდები იმდენად შთამბეჭდავად გამოიყურებიან, რომ მცველთა მოქმედებას აღარც აკვირდებიან. ამასთან, "რუსენბორგთან" მატჩში არა მარტო ვუდგეიტმა გამოიჩინა თავი, არამედ დაცვის ცენტრში მისმა პარტნიორმა ივან ელგერამაც. "მე მომწონს, როცა ასეთი რამ ხდება, - თქვა ვუდგეიტმა, - გარკვეული დროით მაინც ცენტრალური მცველები ყურადღების ცენტრში მოხვდებიან".

მას შემდეგ, რაც ვუდგეიტი ესპანეთის დედაქალაქში გადაბარგდა, იუმორის გრძნობა რთულ სიტუაციებში ხშირად ეხმარებოდა. ახლა კი ფეხბურთელი იმით ტკბება, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა თავისი კარიერის შავი ფურცლის გადაშლა. ინგლისელს ჰკითხეს: ჩემპიონთა ლიგის მატჩში "რუსენბორგთან", რომელიც ტრონჰეიმში გაიმართება, სიცივის გამო თქვენს გუნდს არ გაუჭირდება? ვუდგეიტმა უპასუხა: "სიცივე? მე წარმოშობით ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გახლავართ. არა მგონია, ნორვეგიაში დისკომფორტი ვიგრძნო ამის გამო. ვაპირებ, ჩვეულებრივ, მოკლესახელოიანი მაისურით ვითამაშო. რა თქმა უნდა, ჩვენს ბრაზილიელებს იქ არ მოეწონებათ, მაგრამ ისინი ალბათ ქუდებითა და ხელთათმანებით შეიმოსებიან. მე კი ამგვარ რამეებს შეჩვეული ვარ. მინდა გითხრათ, რომ სიცივე ჩემზე კარგად მოქმედებს".

შეიძლება მართალია, თუმცა, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ფეხბურთელს უაღრესად თბილად ეპყრობიან.

## ქალბატონებო და ბატონებო

სახეობათა კონსერვაციის ცენტრი (NACRES), "მურა დათვის კონსერვაციის" პროგრამის ფარგლებში, აცხადებს ტენდერს საგამომცემლო სახლებზე და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს გამოცდილ გამომცემლობებსა და შესაბამის ორგანიზაციებს, შემდეგი სახის საინფორმაციო პუბლიკაციების მომზადებასა და დაბეჭდვა-გამოცემაზე:

- ფერადი საქარალდე ორი ჯიბით - 500 ცალი;

23,5X15,5 სმ ზომის 150 გვერდიანი წიგნი, სავარაუდოდ 100 ცალი ფოტოსურათით - 1500 ცალი;

- წლიური ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე, ფერადი, თოთო 24 გვერდით A4 ან A5 გარეკანით - 500-500 ცალი

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულ საგამომცემლო სახლებს და ორგანიზაციებს, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი სატენდერო წინადადებები, სადაც ნათლად იქნება მითითებული სავარაუდი ფასები (აშშ დოლარში/ექვივალენტი ლარში) და ნაბეჭდი ნიმუშები, ორგანიზაციის ოფისში, შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თბილისი, 0179**
**აბაშიძის ქ. N 12ა (N 14 და N 16 შორის)**
**საფოსტო ყუთი 20**
**ტელ: 53 71 25**
**ფაქსი: 53 71 24**
**www.nacres.org**

**სატენდერო შემოთავაზებების წარდგენა უნდა მოხდეს 2005 წლის 31 ოქტომბერის 18.00 საათამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელ-ფოსტის საშუალებით: administrator@nacres.org**



# ომერტა - ქვა პირში

მამუკა ხერხეულიძე

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ძებნაშია wanted*
*გაზეთებიდან*

კინო "ყაზბეგში", დილის სეანსზე, ცარიელ დარბაზში, კლასელმა ბიჭებმა იტალიური შავთეთრი ფილმი ვნახეთ მაფიაზე. პირველ რიგში ვისხედით, ეკრანთან ძალიან ახლოს, და შთაბეჭდილება დღემდე გამომყვა.

სურათი ნახევრად დოკუმენტური იყო. ჟანდარმები გვამებს პოულობდნენ ქუჩაში, მანქანაში, ტყეში, მიწაში, წყალში, ახალჩასხმულ ბეტონის კედლებში, ვიტრინებში, მაცივრებში და სად აღარ, და ყველა გვამს პირში ქვა ედო - სასჯელი დუმილის დარღვევისთვის. ძველებური, მრგვალფორმებიანი მანქანის პატარა ფანჯრიდან გადმოყოფილი გერმანული ავტომატის, "შმაისერის" ჯერები, მოულოდნელი აღსასრულით შემცბარი, თვალებად ქცეული კაცი გაქცევას ველარ ასწრებდა, დარაბებდაგმანულ, ყრუ სახლის უხეშად გალესილ კედელს ეკვროდა, ჭრილობებზე ხელებს იჭერდა და ეცემოდა. კედელს ნატყვიარები აჩნდებოდა, პატარა სიცილიური ქალაქის ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე კი შავი სისხლი მოიკლაკნებოდა. ჩახლეჩილი ხმით მოსაუბრე ტყავისჩექმებიანი, მოკლეჯუბიანები, ხინკალკეპიანი და მოგრძოსახიანი ცუდები ბრიდავდნენ ყველას, კაცებს, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, პოლიციელებს და ბოლოს ერთმანეთსაც. შავ-თეთრ გარიჟრაჟზე მეეზოვეები კოხტა დაბის ქვაფენილზე არაბუნებრივად დაგდებულს პოულობდნენ ღია თვალებით, გაფართოებული გუგებით და პირში ჩადებული დიდი ქვით. ეს მაფიოზების წმინდათაწმინდა რიტუალი უყო: ომერტა, შურისძიება ლაყბობისთვის. დამბეზღებელს ეს უნდა სცოდნოდა და იცოდა კიდეც, ოღონდ გვიანღა იყო, ამას კიოდნენ მისი გაყინული თვალები.

მსხვერპლს ციხეშიც სწვდებოდა მაფიის ყოვლისშემძლე ხელი. ცბიერი, წვრილულვაშებიანი ზედამხედველი, ცივსისხლიანი, თვალებამღვრეული პატიმარი, სახელოში ამოდებული ალესილი დანა და სააღდგომო გოჭივით, ოღონდ კვერცხის ნაცვლად რიყის ქვით პირში პოულობდნენ დუმილის დამრღვევს. ჟანდარმებს მოწმეები დაკითხვაზე მიჰყავდათ, თუმცა, უშედეგოდ. მსხვერპლის თანამოქალაქე, რომელმაც ზუსტად იცოდა, ვინ და რატომ, მხრებს იჩეჩავდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: არაფერი დამინახავს, არაფერი ვიცი - საკუთარ სახლთან ჩასაფრებული სიკვდილი და პირში ჩადებული ცივი ქვა არავის უნდოდა. თანაც მკვლელი შეიძლება ნათესავი ან შინაური ყოფილიყო, შეიძლება თვითონაც არჩევდა რიყის ქვას პირის ზომის მიხედვით და, რაც მთავარია, დიდი ხანია, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი საზოგადოების კრიმინალური ტრადიცია - დუმილი.

დრო გავიდა, იტალიური ფილმები მაფიაზე გაფერადდა, სისხლი გაწითლდა ნაცრისფერ ქვაფენილზე, განგსტერები შტატებში ჩავიდნენ და იქ ამბები მოხდა, დედა შვილს არ აიყვანდა - ეს თბილისში ყველას ზედმიწევნით მოეხსენება. ის კი არა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა მაფიის ისტორია საქართველოს ისტორიაზე ბევრად უკეთ იცის. მახსოვს, განგსტერული ფილმების მელოდიებს უკრავდნენ თბილისურ პანაშვიდებზე. ამ დარგის სპეციალისტები ამბობდნენ, სიცილიაზე ერთი ქართველი მაფიოზის ძეგლიც დგასო - ტყუილია. პალერმოში, მაფიოზების მიერ ინდულგენციის მიზნით აშენებულ ეკლესიაში არც ერთი პადრე არ შევიდა, დარჩა ცარიელი ტაძარი შუა ქალაქში, ქუაბ ავაზაკთა სიმბოლოდ. იქ გავლისას სიცილიელები პადრეს გმირული საქციელის შესახებ სიამაყით უყვებიან ახალ თაობას ან ქალაქის სტუმრებს.

ოთხმოციან წლებში, ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლის შედეგად, იტალიაში მაფია გაანადგურეს. მათ, ვინც ლიკვიდაციას გადარჩა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, დაახლოებით ათი წლის მანძილზე კვირაში ოც კაცს იჭერდნენ და ამაში გადამწყვეტი როლი საზოგადოებამ ითამაშა. პირში ქვით პოვნის დიდი ალბათობის მიუხედავად მიტინგებს აწყობდნენ, მეგაფონებით საქვეყნოდ ამხელდნენ თავიანთ თანამოქალაქე მკვლელებს, მათთან შეკრულ პოლიციელებს, ჩინოვნიკებს, ხალხს სიმამაცისკენ, მოქალაქეობრივი აქტივობისკენ მოუწოდებდნენ. ძალიან ბევრი პატრიოტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი და სამართალდამცავი შეეწირა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ეპოპეას, რომელიც თითქმის ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იტალია წარმატებული ქვეყანა, ევროკავშირის წევრი. თუმცა, კორუფციის თემა სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, მაინც არსებობს პატარა პროცენტით, - ძნელია სუკუნოვანი კლანური ხლართების გაჭრა.

იმავდროულად, ამერიკაში, განსაკუთრებით, რეიგანის დროს, აღარავის სურდა ის, რისთვისაც ადრე სისხლის მდინარეებს აყენებდნენ - განთქმული კლანების ბოსობა. ორგანიზებული დაჯგუფების რიგით წევრსაც კი სამუდამო პატიმრობა და ქონების სრული კონფისკაცია გარანტირებული ჰქონდა. უმეტესობამ, ვისაც მაინცდამაინც ცოცხლად არ ჰყავდა ხალხი შეჭმული, საპროცესო გარიგება არჩია: თავიანთი კაპოები ჩაუშვეს, ფული გაათეთრეს, მოწმის დაცვის სისტემაში აღმოჩნდნენ, პირში ქვის ნაცვლად სიგარა გაიჩარეს და კანონმორჩილებაში გაატარეს დარჩენილი ცხოვრება. ზოგმა ბესტსელერების წერაც კი დაიწყო.

ეს იყო სახელმწიფოს დაუღალავი, მრავალწლიანი ბრძოლის შედეგი, რიკოს კანონით დაგვირგვინებული. საზოგადოებას წესრიგი სურდა და მოქალაქეებმა დანაშაულზე ხმა ამოიღეს. გამბინოს ოჯახის ბოლო დონმა, ჯონ გოტიმ, ტელეფონის ყურმილში ნათქვამი "თორემ"-ისთვის დარჩენილი სიცოცხლე მკაცრი რეჟიმის ფედერალურ ციხეში გაატარა და ვილაც "აბსლუგაში" მომუშავე შავკანიანმა ცხვირპირი დაამტვრია. გოტი იმავე ციხეში მოკვდა, კარგა ხნის შემდეგ, ალბათ, გული გაუსკდა, კარგი მოხუცი იყო. პროზექტურაში მის გადაყვანაში მგონი ის "შნირი" შავკანიანიც მონაწილეობდა.

მაგრამ ეს მერე იყო. თხრობა იმ შორეულ დროში დავიწყე, როცა კინო "ყაზბეგში" შავ-თეთრი იტალიური ფილმის ნახვის შემდეგ შინისკენ გავწიე, მეცნიერებათა აკადემიის სახლში, უნივერსიტეტის პირდაპირ.

ჩვენს ეზოში ძირითადად მეცნიერები ცხოვრობდნენ. პატარა ვიყავი, მაგრამ ოჯახში გაგონილი მქონდა და თავადაც ვხედავდი: ტოტალურ ტყუილში, მონობას შეგუებულნი ვარსებობდით, მექრთამეობა და კლეპტოკრატია ყვაოდა. საზოგადოება ყველაფერს ხედავდა, მაგრამ ხმას ვერავინ იღებდა - რიგით დისიდენტებს საგიჟეთებში ამწყვდევდნენ, ცნობილებს რუსეთის ლაგერებში უშვებდნენ. ამ ხალხის რიცხვი ათეულს თუ შეადგენდა ოთხმილიონიან ქვეყანაში. არსებობდნენ პროტესტანტი ინტელექტუალებიც, ვინც თავის საქმეს აკეთებდა და სამზარეულოში აგინებდა მაფია-ხელისუფლებას. ისინი პარტიის წევრები არ იყვნენ, ამიტომ დუხჭირად ცხოვრობდნენ. ახალგაზრდები ან არაყს სვამდნენ ან იჩხირავდნენ. გასტრონომებში ნოქარს ვალებს აწერინებდნენ ხელფასამდე. ესენიც თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ. უპარტიო მეცნიერებს აკადემიკოსობას ვინ აღირსებდა! აკაკი განერელიას უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის უფლებას არ აძლევდნენ არასამედოობის გამო. ისიც ურემონტო, შპალერჩამოხეულ, პარკეტაყრილ ბინაში ცხოვრობდა ჩვენსავით. მამაჩემის თქმით, უნივერსიტეტის, როგორც სულიერი მისიის მქონე ტაძრის ლეგენდა მაშინ დამთავრდა, როცა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში (შესვლისას ქუდს იხდიდა თურმე) დაბინავებულმა წითელმა პროფესურამ დიდ ივანეს ქვები ესროლა და შენობაში არ შეუშვა. მხოლოდ ლამაზი თეთრი შენობა დარჩა.

ყოველდღე ვხედავდი უნივერსიტეტიდან ფეხით შინ მიმავალ, ღრმად მოხუცებულ აკაკი შანიძეს. მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა მეოთხე სართულზე. ერთხელ, დღისით მზისით, თავისი კაბინეტის პატარა ოთხკუთხა აივნიდან კეკელიძის ქუჩისკენ გადმოხტომას ანუ თვითმკვლელობას შეეცადა - არა, არა, რას შვრებით, - აღელვებული ხმები შემომესმა ქუჩიდან. გადავიხედე ჩემი ოთახის ფანჯრიდან და დავინახე, როგორ ცდილობდა მოაჯირზე გადაბიჯებას ბატონი აკაკი. თავზარდაცემული გარეთ გამოვვარდი. ნელა მოქმედებდა ბერიკაცი, უხერხულად, ხანდაზმულობის გამო უძნელდებოდა რიკულებზე აფოფხება, თეთრ გაცრეცილ თმას ქარი უწეწავდა. სადარბაზოსკენ გავიქეცით, შეიძლება მოგვესწრო. ქვევიდან მეზობლები ეძახდნენ: არ ქნათ, ბატონო აკაკი, არ ქნათო. მაგრამ, ეტყობა, აღარაფერი ესმოდა მთელი სიცოცხლე საკუთარი სიჩუმითა და შიშით გადაღლილ კაცს. უდრტვინველად, ჯიუტად აგრძელებდა ჯებირზე გადმობიჯებას დიდი მეცნიერი, ალბათ მოქალაქე აკაკი შანიძეზე შურისძიების ჟინით შეპყრობილი. ავირბინეთ, ზარს ვრეკავდით, დრო კოსმიური სისწრაფით მიჰქროდა, ერთი პირობა შენგრევაც დავაპირეთ. სადაცაა გარედან საზარელ ყრუ ხმას ან კივილს გავიგონებდით. აღარც ველოდით და გააღო ეზოს მხარეს სამზარეულოში მყოფმა ოჯახის წევრმა, რომელმაც არაფერი იცოდა. მამას მეგობარი კოტე ჩოლოყაშვილი შევარდა პირველი და უკვე მოაჯირზე თითქმის გადასულ მეცნიერს ზეწვზე მიუსწრო.

ჩვენს ეზოში გამოცდებზე მოჩალიჩე კათედრის გამგე ან ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსები ფეოდალებივით გამოირჩეოდნენ. აგარაკები, რამდენიმე სახლი შვილებისთვის, "ვოლგები", საკუთარიც და მონა მძღოლებიანიც. მაგარი სცენა იყო, ერთი ასეთი გაბღენძილი მეცნიერი მანქანიდან მძიმედ რომ გადმოვიდოდა ხოლმე: მძღოლს ცალ ხელში მისი პიჯაკი ეკავა, მეორეში - პორტფელი, კბილებით კი სანოვაგით დატვირთული ბადურა მოჰქონდა. ამ კაცს, სანამ საეჭვო გზებით კარიერას გაიკეთებდა, რიგით მეცნიერ თანამშრომლად მუშაობის პერიოდში სადისერტაციო ნაშრომი დაუკარგავს. ატყდა ძებნა ინსტიტუტში, ვერ პოულობენ. "დაანებეთ თავი, მაგაზე კარგი არაფერი შევიდეს მაგის მომპარავის ოჯახშიო," უხუმრია დაკარგული თემის ავტორს.

გახაზულპაგონიანებს, სუკის მრავალრიცხოვან მეხუთე კოლონას (გენერალი კალუგინი პერესტროიკის დროს წერდა, თბილისში ყოველი მესამე ჩვენი აგენტი იყოო; აზვიადებდა ალბათ, მაგრამ მაინც ბლომად გამოდის) ცნობილი, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, ცნობადი სახეები ედგნენ სათავეში. ამ წარმატებულ ქართველებს მატერიალური კეთილდღეობა და განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდათ გარანტირებული. მონობამ გადაგვარჩინა ფიზიკურ განადგურებას, იმპერიაში ყველაზე დაწინაურებული და სვეტი ერი ვართ, ყველაზე მაგარი კულტურით, რომელსაც ამხელა იმპერია ცნობს და აფასებს, რაც მთავარია, მართლმადიდებლურია, ის კი არ არის; ჩვენ დამოუკიდებლად ვერ ვიცხოვრებთ, ისტორიაში ჩავიხედოთ, შევირგოთ ეს სტატუსიო - ეს იყო მათი მოწოდება. სწორედ ისინი ქმნიდნენ ამ გაყალბებულ ისტორიას: ჯერ წერდნენ, შემდეგ ასწავლიდნენ და ბოლოს მას მხატვრულად უკეთდებოდა შეფუთვა - მონობის პაირი.

თხუთმეტი წლის შემდეგ ამ ხალხს უწოდა ზვიად გამსახურდიამ წითელი ინტელიგენცია. თუმცა, ეს სხვა ქართული ბრიყვული ისტორიაა. მაგრამ ეს გარყვნილი ელიტა მართლა არსებობდა და შევარდნაძის დაბრუნებასთან ერთად მათაც დაუბრუნდათ სტატუსი-მისია. მეოცე საუკუნის ბოლოს მათ მის მიერვე აღზრდილი კომკავშირის პრემიის ლაურეატი ახალგაზრდებიც დაემატნენ. საკუთარი სტატუსის დაკარგვის გამო ისინი დღემდე პრობლემებს ქმნიან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებაში - ფაქტია.

არადა, შევარდნაძის მათხოვარი ბიუჯეტი ფულს მოსაპარად კვლავ აძლევდა, დღესასწაულებზე გოჭებს და პრ.. უგზავნიდა ვინმე რაიკომის მდივანი (იმხანად, როცა ზემოთ ნახსენები კინოდან გამოვდიოდი, ასე ერქვათ გუბერნატორებს), მათ ფარისევლური "ბატონოთი" მიმართავდნენ. ისევ ისე რომ ყოფილიყო, პრეზიდენტი წელიწადში ორჯერ ან მეტჯერ შეხვდებოდა. თუ ვაკის პარკში ან კუს ტბაზე მიწას ან პირდაპირ სახლს ითხოვდნენ - მიეცემოდათ, თუ შვილის ან სიძის სადმე, უფრო საბაჟოზე ან საგადასახადოში მოწყობას სთხოვდნენ - შეუსრულებდნენ. მათთვის მიზნობრივად დაფინანსდებოდა ლუნაჩარსკის ხელმოწერით შექმნილი კავშირები, პრეზიდიუმები, უპენსიობით და უხელფასობით გაწამებული ხალხის ფულით განხორციელდებოდა შვიდმილიონიანი პროექტები, დაფინანსდებოდა ნახევარმილიონიანი თეატრები, შეიქმნებოდა ოკუპაციისადმი მიძღვნილი ფილმები, გამოიცემოდა ყალბი ავტორიტეტების წიგნები, ანგაჟირებული გაზეთები, ჟურნალები... რა დრო იყო! ახლაც რომ ასე ყოფილიყო, იმპერიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე მოღვაწეები ხომ სამარშრუტო ხაზებსაც გამოჰკრავდნენ ხელს, სახელმწიფოს შენობებს დაიპრივატებდნენ, შიგ საუნებს მოაწყობდნენ. კვლავ იქნებოდა მათი იუბილეები, დაბოლოს მათ, საზოგადოებისგან უჩუმრად, დიდუბეში ან მთაწმინდაზე, ვინმე დიდებულ ადამიანს მიუწვენდნენ გვერდით, საფლავის ქვას დააწერდნენ მოღალატის სახელს, გვარს, სივს და უმთავრესს - "საზოგადო მოღვაწე".

ამ შემთხვევაში იქნებოდა ხელისუფლება მათი სადღეგრძელებელი. მოღვაწენი რეფორმებს ხალიჩად გაეგებოდნენ. ერთი ისაა, რომ ისევ ის ულირსი, უთავმოყვარო, კრიმინალური ქვეყანა ვიქნებოდით, რომელიც ვერც რუსის ჯარს გაიყვანდა, ვერც აჭარას დაიბრუნებდა, ვერც სამაჩაბლოს და ვერც აფხაზეთს.

საიდან სადაო, იფიქრებს მკითხველი, თუმცა, სწორედ მისი აქტიურობა, საზოგადოების შეკვეთაა გადამწყვეტი კრიმინალურ მენტალიტეტთან ბრძოლაში. სიჩუმე დანაშაულის თანამონაწილეობაა, ღალატია მომავალი თაობების წინაშე. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ "გაგებებისგან" და პიროვნული მოქალაქეობრივი მენტალური თავგანწირვის მაგალითი მივცეთ თანამოქალაქეებს. პირში ქვით სიცილიაზეც აღარ პოულობენ სიმართლის მთქმელებს და ჩვენ რამ შეგვაშინა, ძველბიჭურმა საზოგადოებრივმა აზრმა? იმან, თუ რას იტყვის ვილაც ქურდი რეზბალნიცაზე, რომელსაც ოცნებაში უნდა, რომ მისმა შვილმა ლონდონში ისწავლოს?

საგანგაშო ვითარებაა ქვეყანაში, სადაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი "პაბეგშია", რექტორები დაჭერილი არიან ან დასაჭერი, აკადემიკოსი დირექტორები მრავალმილიონიან სახელმწიფო ქონებას საკუთარივით განკარგავდნენ, ინსტიტუტებში საეჭვო კვლევა-ძიების პარალელურად თურმე საუნა და რამე - არ გამართლდა სკეპტიკოსების აზრი, ონანიზმით არიან დაკავებულიო. რევოლუციამდე ერთ უცხოელ მეცნიერს ყველასთვის ცნობილი სასწავლებლის რექტორი შევახვედრე. ამ უკანასკნელმა შუა საუბარში გადმომხედა და სიამაყით მითხრა, მე ქუჩის აკადემია მაქვს დამთავრებული, ამ პიჟონმა რა უნდა მასწავლოსო, თან მის სპორტულ ფეხსაცმელს ჩახედა. მე მის განკვიტინებულ, რკინისბალთიან შავი ლაქის ბაჩებს შევავლე თვალი და სხვა რამე ვთარგმნე. ის კი მაწვებოდა, უთხარი, ზუსტად უთხარიო.

ამდენი უმაღლესდამთავრებული მგონი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს - იცოდით? საქართველოს ჰყავს იმდენივე დიპლომიანი ექიმი, რამდენიც საფრანგეთს და ბელგიას ერთად აღებულს. გამოცდების პერიოდში ქრთამის სახით ყოველწლიურად ათიდან ოც მილიონამდე დოლარი იხარჯებოდა, დანარჩენი ნეპოტიზმით ეწყობოდა. არსებობდა არაოფიციალური პრეისკურანტი (ოფიციალურიც, ფასიანი უხარისხო ფაკულტეტები), ინსტიტუტებში კურსიდან კურსზე გადასვლაც ფული ღირდა. შედეგი თვალწინ გვაქვს: უმუშევარი და ამბიციური დიპლომიანების არმია სახელმწიფოს პენსიონერებად დააწვა მხრებზე.

ვიფიქროთ შვილებზე, რომელთაც ასწლეულების შემდეგ პირველად მიეცათ შანსი, წოდებრივი, სოციალური, თუ ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, თავიანთი ცოდნით ჩააბარონ უმაღლესში - მათ იქ გაყავისფერებული წითელი პროფესურა აღარ უნდა დახვდეს. ცნობისთვის: გერმანიის გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთის უნივერსიტეტის იმ პროფესორებს, რომელთაც მარქსიზმთან და ლენინიზმთან დაკავშირებული ლექციები ჰქონდათ წაკითხული ნებისმიერ ჰუმანიტარულ დარგებში, ოფიციალურად აეკრძალათ სწავლება ანუ აუდიტორიაში შესვლა. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ომერტის არ უნდა გვეშინოდეს. მით უმეტეს, ის სიცილიაზეც აღარ არსებობს, მხოლოდ ზღაპრად დარჩა.

# მსხვერპლი თუ დამნაშავე?

ადამიანი, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსება დედამიწაზე, იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. თუ დაბადების გაუცნობიერებელ მომენტს გამოვრიცხავთ, სიბერე, ალბათ, ყველაზე მძიმე ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. ხშირ შემთხვევაში, ხანდაზმული, ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე ადამიანი, რომელსაც გონებაც უჭრის და გამოცდელიბაც საკმაოდ აქვს - საყვარელი საქმის გარეშე, უფუნქციოდ რჩება, დეპრესიაში ვარდება, უცებ ტყდება და, თითქოს გუშინ ფეხზე მყარად მდგარი - კვდება. ანალოგიურად მიმდინარეობს ერის დაბერებისა და "გარდაცვალების" პროცესიც (კაცობრიობის ისტორიაში არაერთი ამგვარი ფაქტი მოიძებნება - მრავალი უძველესი ერი საერთოდ გაქრა, ან ასიმილირება განიცადა უფრო ახალგაზრდა, ხშირად ბარბაროს, დამპყრობელ ერთან), რამეთუ სამყაროს განვითარება ერთ კანონზომიერებას ექვემდებარება.

საქართველო ნამდვილად არ მიეკუთვნება ახალგაზრდა ერების რიცხვს, რაც, ერთი მხრივ ჩვენი სიამაყის საგანს წარმოადგენს, მაგრამ, მეორე მხრივ, დიდ ძალისხმევას ითხოვს, რათა დროზე ადრე არ "დავბერდეთ" და დეპრესიულ ერად არ ჩამოვყალიბდეთ. არადა ამის სიმპტომები ნამდვილად არსებობს - ქართველები წარსულით ვცოცხლობთ: "ნიკოფსიიდგან დარუბანდამდე", "ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო". მენტალიტეტიც ანალოგიური ჩამოგვიყალიბდა. ადამიანი როდესაც მოხუცდება და დაჩაჩანაკდება, აწმყოსა და მომავალზე კი არ საუბრობს, წარსულის გახსენებით იოხებს გულს. ჩვენც გულს ვიოხებთო, სულ უკან ვიხედებით, თითქოს წინ გახედვის გვეშინოდეს.

ამის მიზეზიც გვაქვს. წინა ასწლეულებს რომ თავი დავანებოთ, გასული საუკუნის 90-ან წლებში დაწყებულმა ბაქანალიამ, შინა აშლილობამ, სისხლიანმა გადატრიალებამ, წაგებულმა ომებმა, დაკარგულმა ტერიტორიებმა და სამშობლოში ლტოლვილად ქცეულმა რამდენიმე ასეულმა ათასმა ადამიანმა ქვეყანა წელში გატეხა, ზნეობა დასცა, ეკონომიკა გაანადგურა, მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის, ახალგაზრდები დაუსაქმებელი დატოვა, დეპრესიაში ჩააგდო. მამაკაცების უფუნქციოდ დატოვებამ დააკნინა მათი როლი ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. "შემომტანი" და "მარჩენალი" ოჯახის დედა გახდა, რომელიც ველარ ახორციელებდა თავის ძირითად ფუნქციას - შვილების გაზრდას, მათ აღზრდას. დაკვირვებულ თვალს არ გაუჭირდება შეამჩნიოს, თუ როგორ კლავენ "უსაქმური" ოჯახის მამები დროს ნარდისა და დომინოს თამაშში, როგორ ლოთდებიან და ეგუებიან სხვის კმაყოფაზე ყოფნას. ყურადღების გარეშე დარჩენილმა შვილებმა მშობლების პატივისცემა დაკარგეს. ამ პირობებში უზომოდ გაიზარდა "ქუჩის ავტორიტეტების" როლი. ახალგაზრდების ნაწილმა ყალბი ღირებულებები იწამა. ზოგი "დარდის გასაქარვებლად", ზოგიც "კაი ბიჭის" სახელის მოსაპოვებლად, ხსენებული ავტორიტეტების გავლენით ნარკოტიკებს მიეძალა. იმდროინდელმა ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკის აღორძინებასა და ადმიანების დასაქმებაზე, ახალგაზრდების, ქვეყნის რეპროდუქციული ნაწილის რეაბილიტაციაზე ეზრუნა, იარაღი და ნარკოტიკები დაურიგა, მათ შორის არასრულწლოვანებსაც და ძმათამკვლელ ომში ჩააბა. არც ამას დასჯერდა - ქვეყანაში ქურდული მენტალიტეტისა და ნარკომანიის ფეტიშირება დაიწყო, რაც ხელს აძლევდა იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრე კორუმპირებულ მოხელეებს და ძალოვნებს. ერის მიზანმიმართულ გახრწნაზე მაშინ ბევრმა მოითბო ხელი. შედეგი ტრაგიკული მივიღეთ - ახალგაზრდების ნაწილი, ძირითადად უნებისყოფო, დაბნეული ნაწილი, რომელსაც ზურგს ველარ უმაგრებდა ზნეობრივად ძლიერი, უძველესი ტრადიციების მატარებელი ოჯახი, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი, მათზე დამოკიდებული გახდა.

**საქართველოში სარწმუნო მონაცემების არარსებობის გამო, ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი რეალურად დაუდგენელია. ექსპერტთა დიდი ნაწილის ვარაუდით იგი 200 ათასიდან 250 ათასამდე მერყეობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს რიცხვი გაცილებით უფრო მაღალია და თითქმის 400 ათასს უტოლდება. საერთაშორისო ექსპერტთა მონაცემებით აივ-ინფიცირებულთა რაოდენობა საქართველოში 2000 შეადგენს. მათ შორის არიან ქალებიცა და ბავშვებიც. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მონაცემებით აივ/შიდსის შემთხვევათა 65 % ნარკოტიკების ინტრავენურ მომხმარებელზე მოდის.**

ცხადია, როდესაც ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგება (სამწუხაროდ ბევრი ამას სათანადოდ ვერ აცნობიერებს), რაღაც უნდა იღონოს. ყველაზე მარტივი გზა, რომელსაც ჩვენმა კანონმდებლებმა მიაგნეს - "ბოროტების" სასტიკად დასჯის გზა გახლავთ, გზა, რომელმაც ბიძგი მისცა ქვეყანაში არალეგალური ნარკობიზნესის განვითარებას. ამასთან, ნარკოტიკი კორუფციის, შანტაჟისა და ფულის გამოძალვის მშვენიერი წყარო გახდა. რაც შეხება ძირითად მიზანს - ნარკომანიასთან ბრძოლას, მიუღწევადი აღმოჩნდა - ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რიცხვი. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, ნარკობიზნესი, მისი მფარველი მოხელეები სისხლხორციელად არიან დაინტერესებულნი ნარკოდამოკიდებულთა რიგების პერმანენტული შევსებით და ამისთვის ძალღონეს არ იშურებენ.

კარგად გვესმის, რომ ნარკომანია და მასთან დაკავშირებული პრობლემები (ნარკოდანაშაული, ერის გენოფონდის გაფუჭება, შიდსისა და სხვა ვირუსული დაავადებების გავრცელება) ჩვენი ცხოვრების ყველაზე მწვავე ნეგატიური ფაქტორებია. დღეს უკვე ცხადი ხდება, რომ მკაცრი, რეპრესიული ზომები არ იძლევა სასურველ შედეგს. ისეთი მძლავრი ანტინარკოტიკული ორაგნიზაციაც კი, როგორიც არის DEA, უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა ნარკომანიის სტაბილური ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცნობილია, რომ დსთ-ს ქვეყნებში, ყველა გახსნილი დანაშაულის 20 % დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალებების შენახვასთან, გადაზიდვასა და გასაღებასთან. ამასთან ნარკომანია სწრაფად იპყრობს ადამიანის საქმიანობის ახალ და ახალ სფეროებს: სკოლას, უმაღლეს სასწავლებლებს, შეიარაღებულ ძალებს, სამართალდამცავ ორგანოებს. ეს გვარწმუნებს, რომ ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული პრობლემების მოგვარების სტრატეგიასა და ტაქტიკაში დაშვებულია შეცდომები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ნარკომანიასთან სისხლის სამართლის კოდექსით, სასტიკად დასჯის მეთოდით ბრძოლამ კრახი განიცადა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხელები ჩამოვუშვათ და ნარკოდამოკიდებულები, საერთოდ ნარკოტიკების პოტენციური მომხმარებლები ნარკობიზნესს მსხვერპლად შევწიროთ. თუ ჩვენ გვსურს გვქონდეს მომავალი, გამოსავალი უნდა ვეძიოთ. მაგალითად, XVII საუკუნეში თამბაქოს გამოჩენას მოჰყვა კანონი, რომელიც სასტიკად კრძალავდა თამბაქოს წევას, კანონის დამრღვევებს კი ქუჩაშივე როზგებით სცემდნენ. უფრო ადრე, XVI საუკუნის ევროპის მრავალ ქვეყანაში მოქმედებდა თითქმის ანალოგიური, მაგრამ უფრო "რბილი" კანონები თამბაქოსა და კოფეს მიღების წინააღმდეგ. რეპრესიული ბრძოლა ნიკოტინისა და კოფეინის არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარების წინააღმდეგ, მთელი ასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დასრულდა, მაგრამ მათდამი მისწრაფება არ შენელებულა. გავიდა კიდევ დრო და ამ პრობლემით პოლიციის ნაცვლად ჯანდაცვა დაინტერესდა.

ცხადზე უცხადესია, რომ დროთა განმავლობაში ანალოგიურად მიუდგებიან ფსიქოაქტიურ პრეპარატებსაც, მაგრამ დღეს ამაზე საუბარი ნაადრევია. ნარკოტიკულ და ფსიქოაქტიურ საშუალებებთან ბრძოლის გაცილებით უფრო პერსპექტიული გზა დაგვანახა ანტინიკოტინურმა კამპანიამ, რომელიც ამერიკის შერთებულ შტატებსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მიმდინარეობს. პროპაგანდისტული აქციების შეხამება მოსაწევი ადგილების ადმინისტრაციულ შეზღუდვასთან, უკვე დღეს იძლევა შედეგს.

ჩვენი მიზანია, თანამოაზრეების მოძიება, ნარკომანიის არსის, ბუნების გახსნა, იმ საშუალებებში გარკვევა, რომელსაც იგი კაცობრიობის წინააღმდეგ იყენებს, მისი სისუსტეების გამოვლენა, ქვეყნისთვის სასიცოცხლო პროცესებში საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენების ჩართვა. გვინდა დიალოგი შემოგთავაზოთ - ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ თუ როგორ, რა გზით შეიძლება დავეხმაროთ გასაჭირში ჩავარდნილ ახალგაზრდებს (და არა მარტო მათ), როგორ შევამციროთ აივ/შიდსით დაავადების რისკი, როგორ დავუბრუნოთ საზოგადოებას ჯანმრთელი, სრულფასოვანი წევრები.

გულუბრყვილო და აუსრულებელი იქნებოდა მიზნად ნარკომანიის საერთოდ აღმოფხვრის დასახვა (არარეალურ მიზანს საპირისპირო შედეგი მოაქვს ხოლმე. იგივე კომუნიზმის მშენებლობის არცთუ ურიგო, მაგრამ უტოპიური იდეის რეალიზებას ასეულობით მილიონი ადამიანი შეეწირა, თუმცა მიზანი ისევე მიუღწეველი დარჩა, როგორც საუკუნის წინ იყო). ამ ეტაპზე თუ შევძლებთ ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული პრობლემების მოგვარებას, მისგან მოყენებული ზიანის შემცირებას, ნარკოტიკებზე დამოკიდებულებთან, მათ მშობლებთან საერთო ენის გამონახვას, საზოგადოების ნარკომანისადმი როგორც აგრესიულად, ისევე გულგრილად განწყობილი ნაწილის დიალოგში ჩაბმას და საერთო მიზნისკენ მიმართვას, საკანონმდებლო ხელისუფლების დარწმუნებას, რომ არსებული კანონმდებლობა საზიანოა ქვეყნისთვის და, ამდენად, გადასახედია, რომ სამართლებრივი ბაზა რეალობიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ ნარკომანებმა, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთ ენაზე უნდა ვისწავლოთ ლაპარაკი - პრობლემა დაძლევადი გახდება, ყოველ შემთხვევაში, მისგან გამოწვეული ზიანი საგრძნობლად შემცირდება.

საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან, ნარკოსაშუალებების პოტენციურ თუ რეალურ მომხმარებლებთან დიალოგის დასაწყისში გთავაზობთ, ერთად გავერკვეთ, თუ ვისთან გვაქვს საქმე - მსხვერპლთან თუ დამნაშავესთან, ავადმყოფთან თუ ბოროტმოქმედთან.

ჩვენ გვჯერა, რომ შეიძლება ნარკომანების მიმართ მიმტევებლობის გამოჩენა, ნარკოტიკებთან, როგორც რაღაც აბსტრაქტულთან თანაცხოვრება ისე, რომ არ მოვექცეთ მისი გავლენის ქვეშ, არ გავხდეთ მასზე დამოკიდებული. როდესაც შევაგროვებთ მაქსიმალურ ინფორმაციას, შევისწავლით თუ რას წარმოადგენს ნარკომანია, გავაანალიზებთ კვლევის შედეგებს, მოვიძიებთ მისგან გამოწვეული ზიანის შემცირების ეფექტურ გზებს, შევძლებთ პრობლემის მეტ-ნაკლებად გადაწყვეტას.

დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი რწმენა ნარკომანების მიმართ მიმტევებლობის გამოჩენის, ნარკოტიკებთან, როგორც რაღაც აბსტრაქტულთან თანაცხოვრების შესაძლებლობის თაობაზე, საზოგადოების ნაწილში აღშფოთებას გამოიწვევს. გვინდა თავიდანვე დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია - ჩვენ არ ვაპირებთ ნარკომანიისა და ნარკომანების წახალისებას, ხელშეწყობას, უბრალოდ რეალურად გვინდა შევხედოთ პრობლემას და ფართო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით მოვიძიოთ მისი გადაწყვეტის ეფექტური გზები, თუმცა გვესმის, რომ ეს უაღრესად მძიმე და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ გზა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ - **ნარკოტიკებისგან მოყენებული ზაიანის შემცირება - არ გახლავთ ნარკომანიის პროპაგანდა!**

ჩვენ ველით თქვენს წინადადებებსა და მოსაზრებებს, გვჯერა, რომ ყველა ერთად უფრო ადვილად დავძლევთ, ერთი შეხედვით, უკურნებელ სენს!

კავშირი "ალტერნატივა ჯორჯია"
ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:
მის: თბილისი, მიცკევიჩის 29ა, VI სართული
ტელეფონი: 377 550
ელ-ფოსტა: altgeorgia@dsl.ge
ვებ-გვერდი: www.altgeorgia.ge

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა გასაყარზე შვეიცარიაში ერთი მოკრძალებული ლინგვისტი, **ფერდინან დე სოსიური** მოღვაწეობდა. იმდენად მოკრძალებული იყო, რომ მისი ნააზრევი მხოლოდ მეტრის სიკვდილის შემდეგ შეკრიბეს და გამოსცეს სტუდენტებმა. სალექციო კონსპექტს ნამდვილად რევოლუციური ღირებულება აღმოაჩნდა. ამ რევოლუციის ერთ-ერთი საფუძველი კი შემდეგი მარტივი იდეა იყო: **ჭადრაკის დაწყებული პარტიის მოსაგებად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა გზით მივიღეთ ფიგურების განლაგება, რომელიც დაფაზე დაგვხვდა**. სხვა დროს იყოს იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ იდეას ენათმეცნიერების განვითარებისთვის. ახლა მხოლოდ იმაზე უნდა მივუთითოთ, რომ პოლიტიკაში მისი მართებულობა გაცილებით უფრო აშკარად ჩანს და, რაც მთავარია, ხშირად...

მთავარია, იცოდე, რა პარტიას თამაშობ, იცოდე, რას უნდა მიაღწიო. ამ გზაზე კი ფიგურების შეწირვა სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. გადადგომების გახსენებაც შეგვიძლია, მაგრამ რატომღაც არ ვიხსენებთ: აი, მაგალითად, **ზურაბ ჟვანიაც** ხომ გადადგა ერთ დროს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან. აი, ეს იყო გადადგომა, თუ იყო! კი გადადგა, მაგრამ თავის მაგიერ ისეთი შენობა დატოვა, დღემდე ურყევად აღმართულა. მერე კი დაუწყეს ჩვენმა ჭკვიანებმა ყვედრება: თავი შეაფარაო! თავისი ხელით ააგროვა რიონის პირას თეთრი ქვები, თავისი ხელით ააშენა ყორე და თავიც არ შეეფარებინა?

თუმცა გასულ კვირას თბილისელთა მღელვარების მიზეზი გადადგომა არ ყოფილა: იმას, რამაც გასულ კვირას თბილისელები ააღელვა, გადაყენება ჰქვია. გადააყენეს მინისტრი: მერე რა? — იკითხა, ძირითადად, პასუხებს ჩვეულმა **გიგა ბოკერიამ**. მოვიკრიბოთ გონება და პასუხი გავცეთ ენამჭევრი დეპუტატის შეკითხვას, იქნებ მოეწონოს და კითხვების დასმაზე გადაკვალიფიცირდეს, თორემ უკვე იგრძნობა, რომ საკუთარმა ფუნქციამ შეაწუხა.

მაშ ასე: პატარა კაცი ცოტა რასმე ხედავს თავისი სიმაღლიდან. მე არც საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოწმება შემიძლია მასში "ბარდაკის" აღმოჩენის მიზნით და არც ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ მოცემული კომენტარები მაინტერესებს ძალიან — თუნდაც იმიტომ, რომ მაინცდამაინც არ მჯერა მათი. მე იმას განვიხილავ, რაც დავინახე.

დავიწყებ იმით, რომ სალომე ზურაბიშვილი მეც მომწონდა: ლაღი და უკადრი ქცევა, ჭროლა თვალები, მომხიბლავი აქცენტი და კიდევ განუმეორებელი და ყოველდღე სხვადასხვანაირი foulards, რაიც ქაჯთა ენაზე თუნდაც ქალაღაიად შეიძლება ვთარგმნოთ. იმასაც ვამბობდი ამ კურთხეული გაზეთის ფურცლებიდან, რომ მინისტრის გონებაში რუსების მიმართ რაიმე პატივისცემის ან მოწიწების არქონა მშვენივრად ეხმარება საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმართვას. თუმცა ეს ყველაფერი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რასაც ფრანგი ქაჯების ენაზე ჰქვია — tre foutu de... ანუ იმისთვის, რომ გქონდეს ერთი ადგილი...

ადგილი კი პოლიტიკოსისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამაა: თუნდაც თავის შესამაგრებლად. ვერ შეიმაგრა თავი ქალბატონმა მინისტრმა, დროზე ადრე მოჰყვა ჭიქების მსხვრევას. არა, აურზაურის მოწყობაც შეიძლება იყოს პოლიტიკური ხერხი, მაგრამ ფრანგული ენის ყოველი, თუნდაც საშუალო მოცულობის ლექსიკონი ერთ ვერაგ ზმნას შეიცავს — pater (ეპატე) — რაც ჭიქისთვის ფეხის მოტეხვას ნიშნავს, ფეხმოტეხილი ჭიქა კი, თუ სასწრაფოდ პირვანდელი ვითარების აღდგენა დაგჭირდათ, ფეხზე ველარ დადგება. ჰოდა, ჩვენი ექს-მინისტრისთვის სწორედ საკუთარი ეპატაჟი გახდა იმის მიზეზი, რომ მასთან დაკავშირებულმა პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

კი ბატონო, იყვნენ ქაჯები და ველურები — თუ გნებავთ, ამას კამათს არ დავუწყებ, არ მჭირდება. მაგრამ ქაჯებმა და ველურებმაც იციან შესაწირად გამეტების წესები: მთავარია, შურისმაძიებელი არ დარჩეს, ამიტომ სამსხვერპლო ქვაზე ან ბელადი აჰყავთ (ეს უკვე ყოფილა და მივხვდით, რომ ძვირი ჯდება), ან უცხო და უთვისტომო. ჰოდა, ყველაფერი ზუსტად იმის მიხედვით განვითარდა, რაც ყველა დამწყებმა ეთნოგრაფმა უნდა იცოდეს. იყვნენ ქაჯები და ველურები, მაგრამ რატომ მიხვდა ამას პროფესიონალი პოლიტიკოსი ასე გვიან?

სხვათა შორის, მე არც იმისა მჯერა, რომ ფრანსუაზა საგანის გამომცხვარ კრუასანებსა და ჟაკ პრევერის დასხმულ რძიან ყავაზე "ვეფხისტყაოსანი" ადვილი მოსანელებელი იყოს. ასე რომ, ექს-მინისტრის მიერ გამოყენებული ტერმინი მნიშვნელობით ძალიან შორს არ უნდა იდგეს იმ სიტყვისაგან, რომლითაც ჭეშმარიტი თბილისელი გაგრია მოიხსენიებს ხოლმე გლდანის მარშრუტკიდან ჩამოსულ შუახნის ქალს. ასეა თუ ისე, საბჭოთა დროს დაბადებულებმა ვიცით, რომ ძალიან ძნელია იმის დადგენა, за что аборигены съели Кука? პირველი შემთხვევა როდია, როცა ტაბუს დამრღვევი ანთროპოლოგები მოულოდნელად, მაგრამ მხოლოდ საკუთარი თავისთვის მოულოდნელად შამფურზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

მთელი ეს განსწავლული მსჯელობა კი იმის დასამტკიცებლად დამჭირდა, რომ პოლიტიკოსი ყოველთვის იმ დავითას ჰგავს ხალხური ანდაზიდან, რომლის უბედობანი მისივე თავითაა წარმოშობილი. ამის შესამჩნევად ბევრი ჭკუა არაა საჭირო. მაგრამ რატომ ვერ შენიშნა პატივცემულმა ქართველმა საზოგადოებამ ერთი რამ: თუნდაც ქაჯებითა და ველურებით სავსე იყოს ჩვენი საკანონმდებლო ორგანო, რაო, ახლა პარლამენტის დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების მომენტია? — ეს უკვე პროფესიონალის მსჯელობა კი არა, **შალვა ნათელაშვილის** საკადრისი ბაზარია — Fi, quel genre, madame! ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რომ მინისტრის გადაყენება რაღაც კურსის შეცვლის მომასწავებელია? თუ ქ-ნ ექს-მინისტრის პოლიტიკური ბრძოლის წარმოების უნარი ამ დონეზე ჰქონია განვითარებული, მაშინ უფრო ის უნდა ვივარაუდოთ, რომ მის დიპლომატიურ წარმატებებში უდიდესი წვლილი რაღაც უცნობმა გარეგანმა ფაქტორებმა შეიტანა, მაგალითად, თვალწარმტაცმა ფერად-ფერადმა ქალაღაიებმა.

ჰოდა, სწორედ ყველაზე შესაფერისი ფიგურა იყო შესაწირავად და პარტიის გასაგრძელებლად. კითხულობენ, რატომ **ოქრუაშვილი** ან **კეზერაშვილი** არაო? მოთმინება იქონიეთ და ამასაც მოგახსენებთ.

მანამდე კი გავიხსენოთ, რომ ამ ქვეყანაში გადაყოლა არავისთვის ღირს და ჩვენს თავს მივხედოთ. მაინც რატომ შეიკრიბა იპოდრომზე ზღვა ხალხი?

გულმოწყალეა ქართველობა — ვერ დაუკარგავ. საშინლად სიამოვნებს დაჩაგრულის გამოსარჩლება, თანაც საბჭოთა პოეტებმა ასწავლეს, რომ დასაკარგავი შვილი არა ჰყავთ და ემიგრანტებიც უყვართ: თვალებში შესციცინებენ და ამ თვალების მიღმა თითქოს თვითონ შესცქერიან ლუქსემბურგის ბაღს თუ ვარსკვლავის მოედანს. თანაც საბაბი მიეცათ ხან **იონესკოსა** და ხანაც **ბეკეტის** მოსახსენებლად. მაგრამ აქ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები უნდა გამოვყოთ — ხალხი მალე დაშოშმინდება, მთავარი საკითხავი ისაა, პოლიტიკანები რამ დარაზმა ასე ერთსულოვნად.

ექსპერტებიც თითქოს შეთანხმდნენ: ყველას პირზე აკერია **ოპოზიციის გაძლიერება** ან ამაზე უარესი — **დიდი კოალიციის შექმნა**. ეს კი მართლაც საკვირველია! დავუფიქრდეთ.

იპოდრომზე ლამის ყველა ოპოზიციური სუბიექტის დეფილე მოეწყო. კონსერვატორებმაც დაივიწყეს თავიანთი ბრიყვული არგუმენტი: საფრანგეთის მოქალაქის მინისტრობა ამერიკას ეწყინებაო (თითქოს ამერიკა ეთნოკრატი ხეპრეებით იყოს დასახლებული); ლეიბორისტებმაც ელვის სისწრაფით შეცვალეს "პლასტინკა" — ისე რომ ლამის გაგვაყრუა სახმო ბილიკებზე ნემსის ღრჭიალმა. რატომ? — იმიტომ, რომ ვარდების ხელისუფლებამ თავისი არსებობის განმავლობაში პირველად მოისროლა უჰაერო სივრცეში თავისი წევრი. საქართველოში ოპოზიციური ფრთის წარმოქმნის სხვა სცენარი კი ჯერ არ გათამაშებულა — არავის ახსოვს. ეს კარგად შეიგნო ჩვენმა სავარდო და სამაისო ხელისუფლებამ, ამიტომ ცივ ნიავს არ აკარებდნენ თავიანთი რიგების უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს, აქამდე მხოლოდ საკადრო კარუსელებს ატრიალებდნენ და ჭკვიანურადაც იქცეოდნენ, მაგრამ სად უნდა გადააადგილო სალომე ზურაბიშვილი? — აკი აღმოჩნდა კიდეც, რომ მას არავითარი ადგილი არ გააჩნია!

ჰოდა, მოვარდნენ ოპოზიციონერები: ხელისუფლებაში ბზარი გაჩნდა, როგორც იქნა, ამოიოხრა ლევიათანმა, ოხვრას თუმცა გული ვერ ამოაყოლა, მაგრამ მშვენიერი პრინცესა კი ამოაგდო ხახიდან. ჰოდა, იგრძნეს დამწვრის სუნი უფლისწულებმა, შეისხეს აბჯარ-აბგარი, ხელი წაავლეს რკინის მკვეთელ ხმლებს და იპოდრომისკენ გასწიეს. მაგრამ ზღაპარს ზღაპრული ბოლო არ უწერია, რადგან სულ მალე გამოჩნდება, რომ ეს პრინცესა კი არაა, არამედ **გი დე მოპასანის** "Boule de suif", — "ფუნთუშა". ჯერ-ჯერობით ჩვენი ოპოზიციის ფრთებშეკვეცილი არწივები მას თავიანთ დილიჟანსში იწვევენ, ხარბი თვალებით შესცქერიან მინისტრობის დროიდან გამოყოლილ ჯერ გაუცივებელ პოლიტიკურ დივიდენდებს, ხოტბას ასხამენ მის მედგარ პატრიოტიზმსა და შემართებას. რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს ეს იდილია? — სანამ თარგმნის პრობლემები არ შეიქმნება...

აბა, ვნახოთ: "ეროვნული ფასეულობა" — ეს ორი სიტყვა სალომე ზურაბიშვილმაც შეიძლება გამოიყენოს და **ჯონდი ბაღათურიამაც**. მაგრამ პირველისთვის ეს ფრანგულიდან ნათარგმნი valeur national-ია ხუთივე რესპუბლიკის პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულ-მენტალური დატვირთულობით, მეორისთვის კი რაა ნეტავ? და განა მარტო ეს ორი სიტყვაა ასეთი პრობლემური?! აი, მაშინ ნახეთ, რამდენი დამატებითი ქაჯი აღმოჩნდება საქართველოში!

მაგრამ ესეც არაა ყველაზე მთავარი. ექს-მინისტრმა ტელეკამერების წინ განაცხადა, რომ უფულობა მისთვის პრობლემა არაა. მეტად წინდაუხედავი განცხადება იყო, რადგან არ ითვალისწინებდა ოპოზიციური დილიჟანსის სხვა მგზავრთა ცხოვრებისეულ ინტერესებს. სწორედ ამიტომ არ აღმოჩნდებიან ამ ვითარებაში ოქრუაშვილი და კეზერაშვილი, რადგან ამათ ხომ თვითონაც შეუძლიათ ცხოვრება და, თუ დასჭირდათ, სხვასაც აცხოვრებენ.

ამიტომაც, ყველასათვის სამწუხაროდ, არ გამოვა ოპოზიციის არავითარი გაძლიერება, არამედ გაიმართება ერთი დიადი აპოთეოზი, საცა, კომანდორის ქანდაკებისა არ იყოს, აქეთ-იქით ცოცხალივით იჯირითებს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული დავით აღმაშენებლის კიჩი, რეზერვისტების ასეულები ააფრენენ თბილისის დამაარსებელ თეატრალიზებულ ხოხბებს, საკუთარ ფონოგრამაზე გიჟივით იხტუნებს რუსლანა და ბუჩქებიდან გამოსული პატრიოტები გზნებით დააჭექებენ: "ჩემი ხატია სამშობლო!"... ფუნთუშას კი სხვა არაფერი შერჩება სანუგეშოდ, თუ არა ცრემლი და ზოგჯერ ორ სტროფს შორის ჩვენი სმენისკენ გზას გაიკვლევს მისი ქვითინი, რომლის შეკავებას ველარ შეძლებს.

ყურადღება!
რესტორანი "დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207







საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

საუკეთესო საგამომძიებლო სტატიის ავტორს დაასაჩუქრებს 500 ლარით!

"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" აცხადებს კონკურსს ჟურნალისტებისთვის საუკეთესო საგამომძიებლო სტატიის გამოსავლენად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომელთაც **2005 წლის შემოდგომის განმავლობაში** (1 სექტემბრიდან- 30 ნოემბრამდე) **ქართულენოვან გაზეთში/ჟურნალში გამოქვეყნებული აქვთ სტატია კორუფციის თემასთან დაკავშირებით.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა არაუგვიანეს **6 დეკემბრის 16:00 საათისა:**

1. "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" თბილისის ოფისში (მისამართი: რუსთაველის გამზირი N26) უნდა წარმოადგინონ სტატიის ექვსი ასლი და იმ გაზეთის ერთი ასლი, რომელშიც სტატია გამოქვეყნდა **(თუ სტატია გამოქვეყნდა გაზეთში/ჟურნალში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება);**
2. "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ელექტრონულ მისამართზე jaward@transparency.ge გამოგზავნონ სტატიის ასლი და იმ გაზეთის სახელწოდება, რომელშიც სტატია გამოქვეყნდა შესაბამისი თარიღისა და გაზეთის რედაქტორის საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით **(თუ სტატია გამოქვეყნდა რეგიონულ გაზეთში/ჟურნალში).**

სტატიის მიღებისთანავე "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" ავტორს მიანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს, რის შესახებაც მას ეცნობება დაუყოვნებლივ.

სტატიები შეფასდება შემდეგი **კრიტერიუმებით:**

1. მოიცავს თუ არა სტატია საკითხის ყველა მხარეს და არის თუ არა ინფორმაცია მიუკერძოებლად გადმოცემული?
2. რამდენად გამართულია სტატიის სტრუქტურა? არის თუ არა მასში მთავარი თემა დასაწყისშივე მოცემული და ხდება თუ არა შემდეგ ამ თემის დეტალური გაშლა?
3. მითითებულია თუ არა სტატიაში ინფორმაციის წყარო? წყაროს არმითითების შემთხვევაში, შეიცავს თუ არა სტატია შესაბამის განმარტებას/დასაბუთებას?
4. არის თუ არა სტატია სტილისტურად გამართული და მკითხველისათვის იოლად აღსაქმელი?
5. არის თუ არა სტატიის თემა აქტუალური?

საუკეთესო სტატია გამოვლინდება **20 დეკემბერს**. მისი ავტორს გადაეცემა ფულადი ჯილდო **500 ლარის** ოდენობით და **სპეციალური სერტიფიკატი**. სპეციალური სერტიფიკატი გადაეცემა იმ **გაზეთსაც/ჟურნალსაც,** რომელშიც გამარჯვებული სტატია გამოქვეყნდა.

კონკურსის შესახებ **დამატებითი ინფორმაციის** მისაღებად იხილეთ "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ვებ-გვერდი www.transparency.ge. შეკითხვები მოგვწერეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე jaward@transparency.ge.

პასუხები მიღებულ კითხვებზე განთავსდება "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ვებ-გვერდზე.